

Digitized by srujanika@gmail.com

# କୁମାରପତ୍ର



# შ ი ნ ა პ ა რ ს ი

ეურნალ „ჯ ე ჯ ი ლ ი ს ა“.

I	განუყრელი მეგობრები. სურათი . . . . .	2
II	კიდაობა—ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	3
III	არწივის გონივრობა . . . . .	4
IV	დაუდგრომელი მერცხალა—დართვის . . . . .	5
V	პატარა ზღაპარი ერთ პატარა უპერანგო ყმაწვილზე— (თარგმანი) ტასოსი . . . . .	6
VI	ლიკლ-ტიკლის ეშმაკობა. ლიკლ-ტიკლი მოწყალებაზე დადის . . . . .	7
<hr/>		
VII	აფათაა გულნარ-ქალი. ლექსი ი. გრიშაშვილისა . . . . .	24
VIII	ალული კუდიანებსა კ. ჩხეიძისა . . . . .	26
IX	რუხი ნუკრი (თარგმანი) ტასოსი . . . . .	30
X	კოწო და მისი ამხანაგები ან. წერეთლისა . . . . .	35
<hr/>		
XI	ქუჩის შვილი—ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	45
XII	მოგონება—ი. მჭედლიშვილისა . . . . .	46
XIII	ნაპოეარა—სერმა ლაგერლეფისმოთხრობა. თარგმანი ელ. დემოლონ—წერეთლელი . . . . .	49
XIV	სპარტაკი—დ. კასრაძისა (დასასრული შემდეგ) . . . . .	57
XV	ძველ კოშკი—მ. იაშვილისა (დასასრული) . . . . .	63

## შ უ რ ნ ა ლ ი „ჯ ე ჯ ი ლ ი“

1919 წელს.

(ოცდაათი წელიწადი სრულდება პირველ იანვარს)  
გამოცა არა ნაკლებ 6 ნომრისა, რაღაც ძნელი პირობე-  
ბის გამო რედაქცია ვერ შესძლებს სრულად დააკმაყოფილოს  
ხელის მომწერლები. ეურნალი „ჯეჯილი“ წლიურათ ეღი-  
რება 20 მან.

ცალკე ახალი ნომრის ფასი 5 გ. ძველი წლების ნომრე-  
ბი თითო წლით 14 გ. ვინც იყიდის ათ ეგზემპლიარზე მეტს  
—იმას დაეთმობა 12 მან.

1-5 826

# საქმაწევილო ნახატებიანი ც უ რ ნ ა ლ ი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო.

ი. დ.

მაისი, ივნისი და ივლისი 1919 წ.

წელიწადი 3 ცდამეათე



თბილისი

საქართველოს რეინის გზის ტიპო-ლიტოგრაფია  
1919



ଗାନ୍ଧୀଯାଙ୍କେଲୀ ମେଘବନ୍ଦରେବୀ.

# ჭირაობა.

მართლწევა  
განვითარება



ანზე, განზე გაიწიეთ,  
გავაკეთოთ გალავანი;  
წრეში გამოვათამაშოთ,  
თითო თითო ფალავანი.

\* \*

გია, აბა გადმოფრინდი,  
ბიქო, სომ არ დამიბერდი,  
ეხლა უნდა მოიხმარო  
შენ რომ იცი ის მოგვერდი.

\* \*

თორებ შაქროს ვერ გადიტან,  
ჯმუხია და ტანად სრული,  
შენზედ უფრო კარგად იცის,  
თუ მოგასწრო მან კისრული.

\* \*

გამოვიდნენ ფალავნები,  
დაიტაკა ორი ძალა,  
სან ერთია მუხლის ჩოქზე,  
სან მეორე უირამბალა.

შიო მღვიმელი.



## არწივის გონივრობა.



ელის საფანგში ერთხელ არწივი გამბდა. ფეხ მოტეხილი არწივი მოჭყვარეს ტუის მცველს. მისმა ქალიშვილმა ჩასავა გალიაში და როდესაც მოტეხილ ფეხს უხვევდა და არაუით ბანდა იარას, არწივი ფართხალობდა და ცდილობდა ეკბინა მისთვის.

მეორე დღეს, როდესაც იარის ხელახლათ შესასვევათ მივიდა და ისევ მობანა იარა არაუით არწივი აღარ ლამობდა კბენას.

მესამე დღეს, როდესაც ქალი იარის სანახავათ მივიდა, არწივმა შორიდანვე გაუშვირა ნატკენი ფეხი და უოველ დღე, სანამ იარა მოურჩებოდა—ასე იქცეოდა



## დაუღვროები გერცხალა.



ქვენ რასაკვირველია არ გეცოდი  
ნებათ ვინ არის მერცხალა. ეს  
არის პატარა, ძავი ლეგვი, გრძელ  
აბრაშუმსავით წმინდა ბეწვიანი,  
ოინბაზ თვალებიანი, ცხვირ აწეული. მერა  
ცხალა შირველ დღიდანვე არავის აძლევდა  
მოსვენებას. ნამეტურ მეცხრე დღეს, თვალ  
ლები რომ აეხილა, (ლეკვებს მეცხრე დღეს  
აეხილე ბათ თვალები) გადმოგორდა კალათიდან, რომე  
ლშიაც იწვა და ისე შეგორდა კიბის ქვეშ, რომ საწეალი  
დედა მისი კიშერა ბეგოს ეწვალა—სანამ იქიდან გა-  
მოიყვანდა, ის შირით ხოლმე ასწევდა და ისევ კალათაში  
ჩაწენდა. ამ დღიდან დაიწეო მერცხალას ცელქი  
და დაუღვრომელი ცხოვრება.

„იცი, ნაცარ! იმ ავაზაკმა ისევ დალია ჩემი რძე!“  
შესტირა ციცუნიამ დედა კატს. ბოჭკრა ამ ტირილს  
ეური მერცხალამ და დაუძახა: „შენთვის, ქალბატო-  
ნო, მილში ბეგო წეალი მოდის, დალიკ და დაგა-  
ვიწედება“.

„როგორ შეიძლება უფროს ადამიანს რომ ასე  
ელაპარაკები!“ წამოესარჩლა ბატი კატას.

— ოხ, შენ დიდი ხანია რაც ჰყუა ისწავლე! უპასუხა მერცხსალამ. უკელა შინაურ ცხოველებს და ფრინველებს ენა გამოუეო და კუდის ქნევით გაძორდა.

ერთხელ მერცხსალა საკუჭნაოში შეძვრა. „ეს რა კარგ ალაგას მოვედიო.“ ფიქრობდა ის; „აქ ხომ პირს ჩავიტკბარუნებო.“ იქვე მდგომ ბადაგით სავსე კისრში ჩამვრა და ბადაგს სვლება დაუწეო. მაგრამ აი უბედურება. საითაკურ გაიწევდა, კასრი ზედ ეპვროდა. უურები სიტკბოსაგან ზედ ისე მიეკრა, რომ აღარა ესმოდა-რა; თვალის ქუთოთოებიც მიეკრა და ვეღარაფერს ხედავდა. ესლა-კი მოვკვდიო, იფიქრა მერცხსალამ და მორთო საცოდავი წერვ წერვი. ამ წერვა-წერვაზე მოგროვდენ მოსამსახურები და ჩურჩხელასა-ვით ამოვლებული მერცხსალა ძლივს ამოაძრეს კას-რიდან.

„ეს შეჩენებული ახლა ბადაგში ჩამმვრალა, კას-რი წაუპილწავს, ნამცხვრები როგორ-ღა გამოვაცხოო. ევიროდა მზარეული დედაკაცი. სტაცა მერცხსალას ხელი და იქამდის სცემა, ვიდრე დაიღლებოდა.

არ გაუვლია ორს. დღეს, რომ მერცხსალა შეუძ-გა იმის ფიქრს თუ რა ეშმაკობა ჩაედინა ახლა. იმის ბატონებს ამ დღეს სტუმრები ჰქავდათ დაპატიჟებული. მოსამსახურები ტაბლა საუცხოოთ გააწეო; ზედ საუკეთესო ჭურჭელი დააწეო. მვირფასი ქილებით თაი-გულები დადგა. თვითონ სამზარეულოში გავიდა. მერცხსალამ კარგათ იცოდა, რომ ოთახში აღარავინ იყო.

შამოიევანა თავისი მმა და შემოვიდა; ავიდა ტაბლა-ზე, თოვლივით ოქთო და სუფთა სუფრაზე ტალახი-ანი ფეხებით. რამდენჯერმე გაიარავამოიარა, დასუნა შეელა თევზესა და ჭიქას, უცებ უურები აცქვიტა და მოიაზრა: რა კარგა დაიწყრიაბლებს მთელი ჭურჭე-ლი რომ გადმოვუაროვო. თან, თავის მმას უბრძანა. „აბა, გორგალა, მანდ სუფრას ჩამოსწიე. სულელმა გორგალამაც არ იფიქრა ამ ჩამოწევას რა შედეგი მოჰევებოდა. ჩამოსწიეს სუფრას ერთის მხრიდან გორ-გალამ, მეორე მხრიდან მერცხალამ. მოიღო ბზრია-ლი ამოდენა ჭურჭელმა, ღვინოები, მარილი და უპე-ლაფერი გადმოცვივდა. ამ სმაურობაზე გულ გახეთ-ქილი მოსამსახურე შემოვარდა. მერცხალა, შე სამა-გელო! შე ავაზავო! ეს რა გიქნიაო. მერცხალა გა-იქცა, კარები ფეხი მოჰევა და მოსტედა. გაიშელარ-თა და თავი მოიმკვდარუნა.

მერცხალას დედა, გიშერა დღე და დამ გულ მოდ-გინეთ უვლიდა თავის ანც შვილს. ულოკავდა მოტე-სილ თათს, საჭმელს უზიდავდა. ავადმეოფს მოკეთე-ბა ეტეობოდა. მერცხალა ფეხ მოტეხილი მწოლარეც კი არავის აძლევდა მოსექნებას. სან კატას აბრაზე-ბდა, სან ეჩეუბებოდა დიდ ძაღლს და დასცინოდა სხვა ძინაურ ფრინველებს. მერცხალა იმდენად მორჩა, რომ შეეძლო კალათიდან გადმოხვდა. გადმოვიდა თუ არა თავის მმას გორგალას სცემა და მზარეულ დედაკაცს რმე ამოუსვლისა.

ერთხელ შეუმჩნევლათ შეიძარა ოთახში, სადაც  
იმ დაწყევლილ დღიდან, რაც ფესი მოიტეხა, არა  
უოფილა. დასაძინებელ ოთახში, ქალბატონის საწოლ-  
ზე, უმელას საუვარელი და ნებიერი „ლედი“ იწვა და  
ტკბილათ ეძინა. მერცხალას შესვლა, ლედის გაღვია  
ძება და ცემა ერთი იუო. გატუება ჩვენი ნებიერი,  
ააწერულუნა. ეს არ ამჟოფინა. შენ ბასრი კბილები  
და ფრჩხილები გაქვსო? ჭკითსა იმან ლედის.—ჭო,  
მერე რა? უპასუხა ცოტათ დამშვიდებულმა ლედიმ.

— მერე ისა, რომ მინდოდა გამეშინჯა ვის უფრო  
ბასრი კბილები და მაგარი ფრჩხილები აქვს.

— როგორუნდა გავშინჯოთ?

— მალიან ადვილათ. მოდი, და ვიწეოთ საბნის გლე-  
ჯა და ბალიშებისა, ვინც მარდით გაგლეჯს, ის იქ-  
ნება უოჩადიც და ბასრი კბილებიც იმას ვქნება:

— მოდი.

— თქმა და ასრულება ერთი იუო. მივარდენ ორი-  
ვენი ბალიშებს, ორნივ ერთნაირათ ცდილობდენ.  
დაგლიჯეს ბალიშები, ბუმბული ჭარში ადიოდა, მოე-  
ლი ოთახი, სურათები, მაგიდა, საწოლი და სხვა  
თოვლით დაბურვილს დაემზგავსა. მერცხალას და  
ლედის ხომ თვალები-ღა უჩანდათ. მოლად ბუმბულ-  
ში იუვენ გაგანგლული.

მეორე ოთახიდან ფესის ხმა მოისმა, მერცხალამ  
მიატოვა გადაფსრეწილი ბალიში და მივარდა კარებს.  
„ვის უფრო ბასრი კბილები აქვსო“ ჭკითსა იმის

## დაუდგრომელი მერცხალა

გაქცევით გაკვირვებულმა ლედი.—ამას ესლა შენი ზურგი გაიგებსო, მიაძახა მერცხალამ. მაგიდიდან ერთი უშველებელი შემწვრის ნაჭერი მოიტაცა და გაჰქისლა. მაგრამ ამ ქამათ ეშმაკობამ ფუჭათ ჩაუარა. ქალბატონმა დაინახა ორდესაც ის ოთახიდან გამოვარდა და თუნდაც ეს არ ეოფილიყო, ბუმბულში გაგანგლულს ვინც დაინახავდა, უკელა მიხვდებოდა იმის ოინბაზობს.

მერცხალა ჩასვეს ტომარაში და უბმანეს მეეზოვეს წაეკვანა და გადაეგდო შორს—შორს, ისეთ აღა, გას, საიდანაც ის სახლის გზას გერ გამოიგნებდა.

მეეზოვემ ბრძანება კარგათ აასრულა, საწეალი მერცხალა წაიკვანა შორს მინდოორში და იქ დასტოვა. მერცხალამ სახლის გზას ვეღარ მიაგნო. დღნებას იტანტალა მშიერ—მწეურვალმა, სიცივით კალებდა, ჭუჭეისაგან სულ იქექებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მერცხალამ მიაგნო თავის ბატონის სახლს. დაინახა თავისი დები, მშები, დედა, ბატონები და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. სულ გამოიცვალა, დაჭვებისადა და აღარაფერს აღარ აფუჭებდა.

ბატონებმაც აპატიეს წინანდელი ონავრობა.

დარო.



# პატარა ზღაპარი

ერთ პატარა უპერანგო ყმაწვილზე.



ეო და არა იუთ რა, იუთ ერთი პატარა ყმაწვილი, მისი სასელი არავის ასსოვდა. ყმაწვილს ქვევანაზე არავინ ჰევანდა და არც არაფერდ გააჩნდა. ერთი შერანგი ებადა და ისიც მათხოვარს, ობოლს აჩუქა.

მიდის ყმაწვილი ტუში. მწვანე ფოთლებს შრიალი გააქვს. ფრინველები ჭიგჭიკობენ.

სეუკუნა ნისკარტით აერუებს არე მარეს.

მიდის ყმაწვილი და ობობას ქსელს ეხახუნება.

— სად მიდისარ, ყმაწვილო? ეკითხება კოდალა.

— მეც არ ვიცი სად მივდივარ, კოდალავ!

— რა გიქნია შენი შერანგი?

— ობოლს მივეცო.

— ხომ შეგციგა...

— ფეხს ავუჩქარებ...

— მძვიდობით. ეუბნება კოდალა, კეთილი ემაწვილი ეოფილხარ! მალე გნახავ.

მიდის ისევ ყმაწვილი, მიდის. აბლაბუდას გაუხახუნა. ჩამოვიდა ზემოდან ობობა.

— სად მიდისარ ყმაწვილო? ეკითხება ობობა.

— მეც არ ვიცი, სად მივდივარ, ობობავ!

— რა გიქნია შენი შერანგი?

— ობოლს მივეცო.

- წევიძა მოგივა, დასველდები.
- ბუჩქს ამოვეფარები.
- მშვიდობით, ეუბნება ობობა, კეთილი ემაწვილი ეოფილსარ! მალე გნახავ.
- მიდის ისევ ემაწვილი, მიდის და ხედავს წეაროს.
- წეაროს ნაპირას ზის კიბო.
- სად მიდისარ, ემაწვილო? ეკითხება. კიბო.
- მეც არ ვიცი, სად მივდივარ.
- რა გიქნია შენი ჰერანგი?
- ობოლს მივეცი.
- სასტიკი ზამთარი მოგისწრობს, თოვლი, უინგა...
- ფრინველებს გავევები თბილ ქვეუნებში.
- მშვიდობით, ეუბნება კიბო, კეთილი ემაწვილი ეოფილსარ! მალე გნახავ.

მიდის ისევ ემაწვილი, მიდის, და ხედავს მინაღორს.

მინდორში სმოვს ცხვარი, იქ დაინახა ემაწვილი. მიირბინა მასთან. არც არა უკითხავს რა.

— ვიცი, ეკელაფერი ვიცი. ჩემთან მოფრინდა კოდალა, მოცოცდა კიბო, ობობაც მოვიდა. კეთილი ემაწვილი ეოფილსარ! ეკელაფერი მიამბეს. დაიჭირ, ამ საჩუქარს გაძლევ.

ცხვარმა მისცა ემაზვილს ერთი ბლუჯა მატელი, რბილი, ეურთუკივით რბილი.

მიდის ემაწვილი ისევ გზათ. არ იცის, რაზე მოიხმაროს ეს ერთი ბლუჯა მატელი, ვერაფერს მიხ-

ვდა. დაინახა ობობა, ის ბუჩქზე ზის და ემაწვილს ელოდება.

—მომეცი აქ ეგ მატელი.

ემაწვალმა მისცა. ობობამ ბუჩქზე გააბა ქსელი. ართავს და ქსოვს, ართავს და ქსოვს. წამს გაათავა და ნაქსოვი ემაწვილს მისცა.

—გასწი, წაიღე, ღმერთმა გიშველოს!

ემაწვილი გაუდგა გზას, არ იცის რაში გამოისახოს ეს ნაქსოვი. გაიხედა და დაინახა წეაროსთან კიბო ელოდება.

—მომეცი აქ ეგ ნაქსოვი, უთხრა კიბომ, და შენ ერთ წამს მომიცადე.

ემაწვილი დაჯდა წეაროსთან. კიბომ ორი წინა თავით, როგორც მაკრატელით, ობობას ნამუშევარი გამოსჭრა და მისცა ემაწვილს.

—გასწი, წაიღე. ღმერთმა გიშველოს!

ემაწვილი გაუდგა გზას, არ იცის რაში მოიხსამართს წამოღებული ტვირთი. გაიხედა და დაინახა — კოდალა მუხაზე ზის და ელოდება.

—მომე საჩქაროთ ეგ ნაქსოვი. შენ კი აქ, მუხის

ქვეშ, დაჯექი და მომიცადე.

დაჯდა მუხის ძირის ემაწვილი. კოდალა კი თავისი გრძელი ნისკარტით; როგორც ნემსს, უერის და ჰერავს, უერის და ჰერავს.

ემაწვილს ძილი მოერია. ბოლოს კოდალა აღვიძებს და ეუბნება:

—ରହିଛି ଏହି ତଥିଲ୍ଲା, ଶେରାନ୍ତିଗି, ମହାତ ବରିକି, କାନ୍ତିଫୁଲ ରୁ  
ଶିଫୁଲିକିଂକା ନୃତ୍ୟର ଶୈଳୀମିଳିଦେବା, କ୍ଷେତ୍ରିଲିଙ୍ଗ ଶମାର୍ତ୍ତିଲିଙ୍ଗ  
କାର, ଗାନ୍ଧିର, ରମେଶତମା ଗିମ୍ବାଲିଙ୍କା.

ଶମାର୍ତ୍ତିଲିଙ୍ଗ ଗାଉରା ଗନ୍ଧାରୀ, ଅନ୍ତିମା ବିଶାଲି ଶେରାନ୍ତିଗି,  
ଯୁତିଲିଙ୍ଗର ମରିଦିଲି ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କା, କିମ୍ବାଦିତ ଶୈଳୀକିରଣିଙ୍କା, ମହିର  
ଜ୍ଵାଳାର ମାର୍ତ୍ତିଲିଙ୍ଗ ଯୁତିଲିଙ୍ଗର ମରିଦିଲି ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କା ରୁ  
ଶମାର୍ତ୍ତିଲିଙ୍ଗର ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କା.

ଫାଟା.

(୩୦୯୮ ୩୦୬୦)



# ლიკლ-ტიკლის ეჭვაკობა.



ლიკლ-ტიკლ მოწყვალებაზე  
დადის.

იკლ-ტიკლს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ერთხელ დილით შეიტუო რომ მას გაუჩნდა ზატარა მმა. ის მა-შინვე გაექანა რომ ეამბნა დედ-მამისთვის ეს ამბავი. იმათ, რასაკვირველი, სულაც არ გაუგვირდათ. დაია „ჭიჭეინასაც“ არ აღშემგრ-და, მაგრამ იმას ზომ არასოდეს არაფერი არ უკვირ-და. სწორეთ ამ დროს ის ძალიან გართული იქო, ცდილობდა კბილებით ამოეპლივა შუშის თვალები თეთრ, ბანჯგველიან მაიმუნისთვის. მან ლიკლ-ტიკლს მხოლოთ ერთი შეხედა და წამოიძახა: „ბაია“. მერე განაგრძო ისევ მაიმუნის თვალების ამოძრობა. ძალიან საშიში კი იქო, შესაძლოიერ გადაეჭლაპა ეს შუშა.

ლიკლ-ტიკლს ბოლოს დაანახვეს ზატარა მმა: ის წითელი, უთმო მასინჯი იქო. უმაწვილს სიცილათ არ ექო, „ეს ჩემ ბებერ კუს მიეგვანებაო“ დაი-ძახა და ისე სმა მაღლა გადისარსარა, რომ გადია

გაჯავრდა და ოთახიდან გააგდო. პატარას ძირა კი ლიკლ-ტიკლს ძალიან მოსწონდა, სულ ახალგაზრდა და იუო და არც ისეთი სასტიკი, როგორც გადია. მას ერქვა ლიზა, მამა საღდათი ჭევანდა და თვითონ ინდოეთში დაბადებულიუო. ამიტომ მან შშეგნიერი ზღაპრები იცოდა და მხიარულ სიმღერებს მღეროდა. სიმღერები ძალიან სასაცილონი იუგენ. ეკელაზე მეტათ მას უკუარდა ერთი სიმღერა, რომელიც არც კი ესმოდა. ასეთი უცნაური სიტუაციით იწევებოდა: ვიღნა, ვიღნა, ვონიო! „და თავდებოდა კივილით: „ვაი, ვაი!.. ლიკლ-ტიკლი ამ სიმღერას დაბულებდა სინზე ბრახუნით სწორეთ იმ დროს, როდესაც გადია სახლში არ იუო, იმას ეშინოდა პატარა გაიღვიძება სო და ლიზასაც ეუბნებოდა; ეს სიმღერა სრული სისულელეა.

ზაფხულში, როდესაც ამათ თომა ეწვიათ, ლიკლ-ტიკლმა იმღერა ეს სიმღერა, თომას ძალიან მოეწონა. ესენი ხშირათ სეირნობდენ ერთაო, გზა-გზა მღეროდენ. ლიკლ-ტიკლი ტაშს აულებდა, თომა „ჭიჭინას“ ნიჩბით ბაღის ღობეებს არტყამდა.

ერთხელ თომამ უთხრა ლიკლ-ტიკლს: მოდი, ინდოელებათ მოგირთვეთ და ეს სიმღერა ისე ვიმღეროთ! პირისახის დახატვას ხომ ადვილათ მოვარ ხერხებთ და ეკელას ნამდვილი ინდოელები გეგონებით და კარგ ფულს მოვაგროვებთო!

ლიკლ-ტიკლს მოეწონა ეს აზრი, მაგრამ მაშინ-



ეს დაუმატა — თომა, ეს ხომ მოტუუება იქნება, თქვა  
მან, — ჩვენ ნამდვილი ინდოელები გეგონებით! განა  
კარგი იქნება?

თომამ პასუხის მაგივრზთ გაიცინა.

— განა არ იცი, რომ ერთხელ თვითონ ქალა-  
ქის მოურავდა თავისი თანამემწერი ზანგების ტანი-  
სამოსით გამოწეობილმა გიტარის დაკვრით მთელი  
არეამარე მოიარა. ხომ ვერავინ იტუვის რომ ისინი  
ცუდათ მოიქცენ.

— მოგროვილ ფულს რაღას გუხამთ? იკითხა  
ლიკლ-ტიკლმა.

— მე ვიცი როგორ მოვიხმარებ. წამოიძახა თო-  
მამ. ფული თავის დღეში ზედმეტი არ არის!

რაც განიძრახეს უმაწვილებმა — აასრულეს კიდეც.  
ლიკლ-ტიკლმა ამოარჩია დრო, როდესაც დედ-მამა  
დიდი ხნობით სახლიდან წავიდენ და თომას ოთახ-  
ში მოირთვენ. თომას იატაკის საღებავი ეძოვნა,  
ცხელ წეალში გახსნა და ბავშვები რამდენიმე წუთის  
შემდეგ ინდოელებზე უჯრო შავები გახდენ. თომამ  
ზემოდან გადიცვა აბანოს ჭრელი პერანგი, გაეხვია  
პატარა წითელ-ვეითელ სალიჩაში, რომელიც საე-  
ტუმრო ოთახიდან გამოიტანა და თავი შეიკრა წი-  
თელი აბრეშუმის ხელსახლცით. ლიკლ-ტიკლმა თავის  
წითელ კაბაზე წამოისხა პატარა ეგითელი სალიჩა  
და თავი შეიკრა დედის თეთრი, ოქრომკედის ბაბა-  
თებიანი პირსახლცით. თან წაიღეს პატარა დაირა,

რომელიც ფერადი ლენტებით იუო მორთულიდა „ჭია ჭეინას“ ბარაბანი, რომელსაც თუმცა ერთი შხარე დამსკდარი ჰქონდა—ძეორეს კი არა უშავდარა. ასე მორთულნი ჩუმ-ჩუმათ სახლიდან გამოვიდენ და სხვა და სხვა ვიწრო ქუჩებით გავიდენ ქალაქ გარეთ, სა- დაც პატარ პატარა სახლები იდგა. თომამ ერთი სა- ხლის კარები შეაღლ. კარებზე ეწერა: „ჯენ ლოჭი“. ლიკლ-ტიკლმა ააბრახუნა დაირა, თომამ ბარაბანი ააუოლა და ორივენი მოჟუვენ სიმღერას. ლიკლ- ტიკლის კარგი სმენა ჰქონდა, მაგრამ თომა საშინე- ლი ხმით გაჰყიოდა. სახლის პატრონმა ფანჯრიდან გადმოიხედა.

— ხედავ, თვითონ სახლის პატრონია! წამოიძა- სა თომამ და დოლ-საღარა უფრო ააბრახუნა.

ლიკლ-ტიკლს მალიან გაუგვირდა, როდესაც თვითონ ჯენ ლოჭი დაინახა წითელ ლენტე- ბით მორთულ ბლონდის თავსახურავით. სახე საში- ნელი სასტიკი ჰქონდა, ფანჯრიდანვე დაითხოვა და როცა ნახა რომ უმაწვილები არ მიდიან, გამოუვარ- და გარეთ და გაბრაზებული დაუევირა:

— ახლავე დამეკარგეთ!

— გთხოვთ გვაჩატიოთ, ეს ინდოელების სიმღე- რაა! არ ვიცოდით რომ სიმღერა არ გიევარო! ჩვენ...

— გვებნებით ახლავე დამეკარგეთ! მეტი გაბრა- ზებით დაუევირა ქალმა.—თქვე მაწანწალებო, საიდან მოთრეულსართ!

— ო, ო! ეს მეტის მეტია, წამოიძახა შეურაც-  
ეოფილმა ლიკლ-ტიკლმა,— ეგ რანაირათ ილანძღებით.

ვენ ლოვი ამაზე უფრო აღმფოთდა, ის იუთ  
უნდა მიყარდნოდა ემაწვილებს, რომ მათ მოჰკურც-  
ხლეს.

— მაგ გვარ დედაქაცებს, რასაკვირველია, ზრდი-  
ლობას ვერ მოვთხოვთ, წამოიძახა თომამ, როდესაც  
გარეთ გამოვიდენ,— მაგრამ მე დიდი სიამოვნებით...  
მან არ გაათავა რას იქმოდა დიდი სიამოვნებით, რადგან  
დაინახა რომ ლიკლ-ტიკლი ძალიან შეწუხებული იუთ.

— მე არ მიუვარს მოუხეშავი და ბრაზიანი ხალ-  
სი, ასეთები სწორეთ მე ზიზღებიან, წამოიძახა ლიკლ-  
ტიკლმა, სხვაგან ნუდარ წავალო. იქნება მეორე სახლ-  
მი ახლა ვინმე ბებერი კაცი დაგვიხვდეს და უარე-  
სათ გაგმლანძღოს.

სწორეთ ამ დროს ვიდასიც ტირილი შემოესმათ.  
მიიჩედეს და ნახეს თომას ოდენა ბიჭი, ისეთივე შა-  
ვი სახით, როგორც თვითონ იუვენ. იმას იღლიაში  
ამოხრილი ჭქონდა სკრიპტა და თავზე შავი ქუდი ჩა-  
მოეჭარა. იჯდა ბალაზზე და მწარეთ ტიროდა.

— რათა სტირი? ხომ არა გრევივა რა? ჭყითხა  
ალერისით თომამ.

ბიჭმა რაღაც წაიბუტბუტა ისე ჩუმათ, რომ ამათ  
ვერა გაიგეს რა. მეორე ლიკლ-ტიკლი მიუახლოვდა  
და ტკბილათ უთხრა:

— ნუ სტირი, შე საცოდავო! რა დაგემართა?



ბიჭი მოუკევა თავის ამბავს, მაგრამ მნელი გა-  
საგები იყო, ის იტალიურათ ლაპარაკობდა. ამათ გა-  
იცეს მხოლოდ ის, რომ უმაწვილს სახელათ ერქვა  
ფორო და მშერი იყო. მატარებლით მოსულიუო  
შორიდან, დაღზლული იყო. სკრიპკას უკრავდა, მაგ-  
რამ არავინ არაფერი მისცა. ბავშებს ჰყითხა—თქვენც  
ხომ იტალიულები არა ხართო. ლიკლ-ტიკლმა უაბ-  
ბო, დროს გასატარებლათ რომ იუკენ მორთულნი.  
ფორთს ძალიან გაუსვირდა—აი რა გითხრა, უთხრა  
თომამ თავის ბიძაშვილს,—მე ჯიბეში ცოტა ფული  
მაქს, წავიდეთ დუქანში და ამ პატარას ვუეიდოთ  
რამე.

ფორთს პატარას უმახდა, თუმცა ის იმაზე მა-  
ღალიც და ეტეობოდა წლოვანობითაც უფროსი იყო.

მათ იუიდეს ორი ტკბილი კუპატი, შოკოლადი,  
ცოტა კონფეტი, ორი ბოთლი ლიმონბდი—თავიანთ-  
თვის ცოტა გადასხეს, დანარჩენი დაუთმეს ფორთს.  
ზღვის პირას შეექცენ საუბმეს და ისე გამხიარულ-  
დენ, რომ თომამ წამოიძახა:

— მოდი, ახლა ნამდვილი კონცერტი გავმართოთ,  
ამ პატარა სახლების უბანში კი არა, უფრო დიდონ  
აგარაკებთან მივიდეთ, ფორთ სკრიპკას დაუკრავს და  
ჩვენ ვიმდევებთ.

ფორთომ გაიცინა და თეთრი კბილები გადმოჰქმა-  
რა. სელასლა დაიწევს ამათ ტანტალი. პირვე-  
ლათ მიუახლოვდენ ერთ დიდ ლამაზ კოშკებით

გარემოცულ აგარაკს. ეზოში დიდი წევები იდგა და  
ბევრი ძვირფასი უვავილები იუო; შიგ, ტკბილათ მომ-  
ლიმარი, მსუქანი ქალი ორ ჰატარა ფინიას ეთამაშე-  
ბოდა. უმაწვილებს უურადღება მიაქცია.

— ნუ გეშინიანთ! თქვა მან, როდესაც ფინიები  
ბავშებს მივარდენ,—ეგენი არ იკინებიან.

უმაწვილებმა გაიღიმეს. ფორომ დაიწურ. ის მა-  
ლიან კარგათ უკრავდა სკრიპკას. უმაწვილებმა დაა-  
უთლეს თავიანთი სიძლერა: „ვაი, ვაი!“ ლიკლ-ტიკლი  
დაირას უკრავდა, თომა დოლ-ნაღარას აბრახუნებდა,  
ფინიები აჭიჭეინდენ და უველა გამსიარულდა.

დიასახლისს არაფრად მოეწონა სიძლერა, მაგ-  
რამ უმაწვილებს აჩუქა სამი შილინგი. მათ მადლო-  
ბა გადუხადეს და სხვა სახლისკენ გაემართენ.

იქ, სახლის კარებ წინ, სის ქვეშ, ისხდენ კაცი  
და ქალი. კაცი რაღასაც უკითხავდა ქალს, ის ახალ-  
გაზრდა და ლამაზი იუო.—რა კარგი ბავშები არიან,  
წამოიძახა ქალმა, კაცმა საჩქაროთ აჩუქა ერთი ში-  
ლინგი და სოხოვა:—ნუ გვიშლით, წადით აქედანო.  
უმაწვილები მაშინვე მოშორდენ. კაცმა განაგრძო კი  
თხვა.

ასე ამ რიგათ ბავშებმა თერთმეტი სახლი მოი-  
არეს. ეკლესის საათმა შვიდი ჩამოჭკრა. თომამ და-  
თვალა ფული, 15 შილინგი და ათი ჰენსი მოე-  
გროვებიათ. ისინი თავიანთ სახლთან სულ ახლოს  
იუვენ. ლიკლ-ტიკლი სისარულით ხტოდა. უცხათ

დედ-მამას შეეფეონ.

ლიკლ-ტიკლისთვის საშინელი წამი დაღგა. მარ-  
თალია, თვითონ თავს დანაშაულათ არ გრძნობდა,  
მაგრამ დედ-მამას ხომ ეგონებოდა, რომ ამათ რაიმე  
ეშმაკობა ჩაიდინეს. ამასთანავე მისი მორთულობა  
საშინელი იყო.

დედის ძვირფასი თავშალი თავიდან ჩამოვარდ-  
ნოდა და ოქროს ფერი თმები შედებილ სახეზე ჩა-  
მოჭურაოდა. სასტუმრო ოთახიდან გამოტანილი ხა-  
ლიჩა ძირს, მტვერში ეთრეოდა, არც წითელი ხალა-  
თი იუო კარგ მდგომარეობაში.

როდესაც ამათ დედა და მამა მოუახლოვდენ—  
ერთბაშათ შედგენ და გაოცებული შეხედეს. ლიკლ-  
ტიკლმა მიირბინა მათთან, თან ცდილობდა ხალიჩა-  
სთვის ხელი მოეკიდნა, რომ არ თრეულიერ მტვერ-  
ში. ემაწვილი სულს ძლივს იბრუნებდა, ჩქარობდა  
ფოროს თავგადასავალი ეამბნა, ბავში მიიევანა მათ-  
თან.

— ამის მამა ავათ არის, მალიან დარიბია, მში-  
ერი იუო, თუმცა სკრიპკას კარგათ უკრავს და ჩვენ  
მოვუგროვეთ 15 შილინგი და 10 პენი.

მშობლებმა არ იცოდენ რა ექნათ, არც უნდო-  
დათ გაჯავრებოდენ. ისიც სწეინდათ, რომ მათ ქა-  
ლიშვილს, ჯამბაზურათ მორთულს, კარ და კარ უვ-  
ლია მოწეალების სათხოვნელათ, მერე იმ უბანში,  
სადაც თითქმის ეველანი იცნობდეს მათ.

ლიკლ-ტიკლის დედამ იცოდა, იტალიური და  
ფორომ უველავერი თვითონჭვე უამბო.

— შეგროვილი ფული უნდა მაინც დაუბრუნოთ  
ეველას, წამოიძახა ტიკლის მამამ.—მე, თომავ, შენ  
ლიკლ-ტიკლზე ჭირიანი მეგონე. ერთი შემოგხედონ  
რასა გევხარ!

მაგრამ ეს კაცი ისეთი სასტიქი არ იუთ, რო-  
გორც ეჩვენებოდა ადამიანს. ფორო რომ გაისტუმ-  
რეს, 15 შილინგზე მეტიც მისცეს. გარდა ამისა ამათ  
იმ ქალაქში ჰყავდათ ნაცნობები, რომელნიც დაჭპირ-  
დენ, რომ უმაწვილის ავათმუოფ შაბასაც და თვითონ  
უმაწვილსაც ეურს უგდებდენ. მალე მოუვიდათ იტა-  
ლიიდან ამბავი, რომ მამა და შვილი მშვიდობით  
მივიდენ ბინაზე. შემდეგ კი აღარავერი შეუტევიათ.  
იქნება პატარა ფორო გამოჩენილი სკრიპტის დამკ-  
ვრელიც გახდა.

ამ ამბის მეორე დღეს ლიკლ-ტიკლი და მისი  
ბიძაშვილი იძულებული იქვენ, თუმცა სულაც არ უნ-  
დოდათ, ჩამოევლოთ ეველა სახლები, სადაც აე-  
ღოთ მოწეალება და სათითაოთ აეხსნათ, რომ ისი-  
ნი ნამდვილი ინდოელება არ იქვენ და მხოლოთ  
დროს გასატარებლათ დაიძრებოდენ და ფულიც უკან-  
ვე დაებრუნებინათ. თომა ჭარხალივით წამოწითლდა  
და ბიძას უთხრა:

— სჯობია მცემო, ბიძიავ!

მაგრამ მაინც მოუხდა ბიძიას ნაბმანების ასრულება.

თერთმეტ მოსახლეობაგან, რომელთას მოწეალება გაიღეს, მხოლოთ ორმა წაიღო უკან ფული. როდესაც ლიკლ-ტიკლმა უამბო იმ კეთილ ქალს რომელსაც ორი ფინია ჰქავდა—იმან არა თუ უკან გამოართვა გაღებული მოწეალება, ზედმეტიც მისცა უმაწვილი სთვის იფალიაში გასაგზავნათ. ამათ ხილითაც გაუმასპინძლდა, უვავილები დაუკრიფა; ასე რომ უმაწვილები ძალიან კმაულფილნი გამოვიდენ მისი ბაღიან. ფინიები ადრინდელივით ხტოდენ და იუეფებოდენ.

ერთხელ, როდესაც გადია ტუქსავდა ლიკლ-ტიკლს იმიტომ, რომ ვიღაც მათხოვარს გამოუდგა და რაც ფულები ჰქონდა უველა მისცა—უმაწვილმა უთხრა:

— იცი, ჩემო გადია, მეც ხომ ჩამოვიარე ერთხელ სამოწეალოთ. მთხოვნელებს გული უკვდებათ, როდესაც ბუზღუნით და კავრობით აგდებენ, ისე, როგორც ჩვენ გამოგეაგდო ერთმა ქალმა.

(გაგრძელება იქნება)

ცასო.





## ପାତାର ଗୁଣନାରକାଳୀ.

ପାତାର ଗୁଣନାରକାଳୀ,  
 ନୀତି ଜାରିବାର ତଥାର ଲାଗିନିଶି  
 ରା ତୃତୀୟାଦୀ ଉଚ୍ଚାଲଦୀ  
 ଧର୍ମାଦ ପ୍ରକିମିଳି ମନ୍ଦିରାନିଶି.

କାନ ମୁଖର କାର୍ଯ୍ୟରେ ରେ. ରା ତୃତୀୟାଦୀ  
 ମମିରାତ କ୍ଷେତ୍ରର ଫର୍ମିଲି ଫେଲି;  
 କାନ ଆଶ୍ଵାସରେ ରେ, ରେ ନାହାର,  
 ତିର୍ଯ୍ୟକରେ କାନଗୁରି ରାତ୍ରିକରେ କାଲି.

କିନ୍ତୁ ଯୁଦ୍ଧରେ କିମିତିରେ ନୀତି,  
 ରାତ ତାଙ୍କିଲି ମମିଲି ବାହିନୀ,  
 ଅନୁଭା କ୍ଷେତ୍ରର ଦେବର କାଲି,  
 ଅତିଶ୍ୟାମର କାନାକୁଳା?!—

არა! განა გულნარ-ქალი  
მთლად დაიშლის თვის ჩელქობას?  
— გუშინ, როცა ტიკინასა  
უპერავდა კაბის ქობას:

მოხვდა ნემსი და... საბრალოს  
ჯაერვეთა სისხლი ხელზე...  
აფათაა გულნარ-ქალი  
და ზარბაცობს სარეცელზე.

ი. გრიშაშვილი.

თელავი. 17 წ.



# ალული კუდიანებსა.



ნების კვირაში, დიდ სუთმაბათს სა-  
ღამოს სოფ. გორისაში ერთ ეზო-  
ში გენახის თავზე ბლომათ ბავშები  
მოგროვილიეკენ და დიდის ქრის-  
მულით ეზიდებოდენ გენახიდან ვა-  
ზის ლერწს და ერთ ადგილას აგრო-  
ვებდენ. ის იუო, მთვარეც გამოჩნდა აღმოსავლეთით,  
რომ მაღალი ცეცხლის ალი ამოვარდა ამ შეგროვილ  
ლერწიდან და თან გაისმა ბავშების ზრიალი და ევი-  
რილი: „ალული კუდიანებსა! ჩვენ ქალებსა კვირის-  
თავი...“

ასეთი სურათი იუო მთელ სოფელში—ეოველ  
ეზოში. ბავშების მხიარულებას საზღვარი არა ჰქონ-  
და,—ზოგი გარს უტრიალებდა ამ უშველებელ კო-  
ცონს, ზოგი მღეროდა, ზოგი რაღაც უწმაწურ ლექ-  
სებს გაიძახოდა და ეველა ევიროდა, რაც კი შეეძ-  
ლო. ამ დროს გამოჩდენ და ცეცხლის ალს დას-  
ტრიალებდენ სხვა და სხვა შეზღები, ბუზები, კრა-  
ზანები და სხვა მწერები, რომლებსაც ალი შეუბრა-  
ლებლათ იტაცებდა.—ამ მწერებში ბავშებმა შეამჩნიეს  
ერთი შავი, დიდი, გრძელ ულვაშებიანი და დიდ  
ფრთხებიანი მწერი, რომელმაც თავს გადაუზუილა  
მათ და ცეცხლის ალს დაუწუო ტრიალი.

„აი, გაჩნდა კუდიანი, მოვიდა კუდიანი, ეს არის  
სწორეთ კუდიანი, არიქა, ბავშებო, არ დაგვჭამოს“,  
უკიროდა ერთი მოზრდილი ბიჭი. ჰატარა ბავშებს  
შეეშინდათ, მიტბიგი ოწეეს, მიცვივდენ მოზრდილ  
ბავშებთან, კალთებზე ეკიდებოდენ და ეკედრებოდენ—  
სახლში წაგვიუგანეთო.

მოზრდილ ბავშებში—ზოგი ამშვიდებდა მათ და  
ეუბნებოდა:—ძართლა კუდიანი კი არ არის, დაიკო,  
ის ბუზი არისო.

ზოგი კი ამით სიამოვნებდა და უფრო აძინებდა  
ჰატარაებს. ამ დროს ის მწერიც, რომელმაც მიიპ-  
ერო ბავშების უურადღება, ალმა მოიტაცა და ცეც-  
ხლში ჩაიხრავა. „დაიწვა კუდიანი, დავწვით კუდია-  
ნი,“ იძახდენ, რაც მალი და ღონე ჰქონდათ, ბავშე-  
ბი. ჰატარები ცოტა დამშვიდდენ, როცა შეხედეს, რომ  
მათი შემაშინებელი კუდიანი ცეცხლში ჩაიხრავა, მაგ-  
რამ მოზრდილები კიდევ გაიძახოდენ: „აწ უფრო დი-  
დი კუდიანები მოვლენ, ურთხილათ იუავით, ბავშებო,  
ისინიც ცეცხლში ჩავწვათ, თორებ გლახა დღეს და-  
გვაუენებსო.“ ერთმა ჰატარა გოგონამ ტირილი მორ-  
თო: „მეჩინია, მეჩინია,“ გაიძახოდა ის, მას აჟუგენ  
სხვა ჰატარებიც, მოზრდილები კი გარს შემოეხვივენ  
და ამშვიდებდენ.

ამ დროს შეუმჩნევლათ მიუახლოვდა მათ მასწავ-  
ლებელი, ბიძია ნიკო, რომელიც, ის იუო, მოსული-  
ეო სახლში სააღდგომოთ.

— გამარჯვება, ბავშებო, ბევრი კუდიანები დასწერით?

„ერთი კარგი კუდიანი დაგწერით, მიუგო ერთმა ბავშმა.

— შენ სტუუი, ერთი კი არა ათასზე მეტიც დაიწოდა, ვერა სედავთ ახლაც რომ სცვივიან ცეცხლში?

ბავშებში სიჩუმე ჩამოვარდა და გაკვირვებით მისჩერებოდენ მასწავლებელს. ხუმრობს, თუ მართალს ამბობსო.

„კუდიანები სად არის, ბატონო? მე ვიჩუმრე წედან, დადი ბუზი ჩავარდა ცეცხლში და დაიწება; პატარებს კი ვაშინებდით — კუდიანია-თქო, გაბედულად უჩასუსა ისევ იმ ბავშმა, რომელმაც წინად იოხუნა ჯა — კუდიანი დაგწერითო და რომელსაც სოფლის სკოლა შარშან გაეთავებია.

— თქვენ რომ კუდიანებს ფიქრობთ, ის კუდიანები მართლა არც უოფილა და არც არის, სოქვა მასწავლებელმა, — მაგრამ ძველებს კუდიანები უწოდებიათ იმ მავნე მწერებისათვის, რომელნიც მუსრს ავლებენ. ჩვენი ვენახისა და ხეხილის ნორჩ ფოთლებს. აი, ჩვენ ძველებსაც ეს საშვალება გამოუნასყოთ, რომელიც კიდევაც გართობთ და სასარგებლოც არის ვენახისა და ხეხილისათვის. ახლა გამოდის კვერცხებიდან მრავალი მავნე მწერი, ზოგი კიდევაც დაფრინავს და ურიცცვე კვერცხებსა სდებს, რომ გააძრავლოს თვისი გაუმაძღარი მატლები, რომელნიც

მოედებიან ვენახისა და ხეხილის ნორჩ ფოთლებს  
და სრულიათ გახრავენ. ისინი, დამე რომ სინათლეს  
დაინახავენ, სულ იმას მიაშურებენ და იღუპებიან;  
თქვენ რომ ვენახის ლერწი დავიწვავთ, იმაზედაც  
უფალავი კვერცხები იქმნება მიწებებული, რომ  
ლებიდანაც ურიცხვი მატლები გამოიჩინებოდენ და  
მიეხვეოდენ თქვენს ვენახსა და ხეხილს და ეს მავნე  
სულები თქვენ ბევრი გაგიქრიათ ჩვენი ძველებისგან  
დატოვებული ჩვეულების წებლობით. თუ სხვა უკუ-  
თესი სამვალება ვერ მოვიგონოთ, ეს მაინც შევას-  
რულოთ ხოლმე, თორებ ის ჩვენი საუგარელი უურ-  
ძენი და ხილი მოგვენატრება.—ახლა ხომ მიხვდით,  
რომ ძველებს უმნიშვნელოთ არ დაუტოვებიათ ეს ჩვე-  
ულება ჩვენთვის?

ცოტა სიჩუმის შეძღვებ, „აბა, დავწევთ კუდიანეუ-  
ბიო“, დაიძახა რამოდენიმე ბავშვა და გაექანა ვენახი-  
საკენ ლერწის მოსატანათ. დიდი ხანი არ გასულა  
ამის შეძღვებ, იმხელა ალი ადიოდა ცეცხლს, რომ  
ბიძია ნიკო სტეპებოდა მშვენიერი სურათით და თან-  
ეხმარებოდა ბავშვებს წალამის დაწვაში.

፩፻፭፻





## ରୂପେର ବ୍ୟାପକୀ.

ამი დღე იქნებოდა რაც სოფროძი  
თავისი მექანიკი ძალლით, ტრეზო-  
რით, ტექში სანადიროთ დადიოდა  
და კი ვერას გახდა. ნუკიან ირემს  
ვერ შეხვდა. მოხუცებული გრძნობა-  
და, რომ ძალიან მოიღალა, მაგრამ  
ხელცარიელი სახლში დაბრუნება მაინც არ უნდოდა.  
ემინოდა არ ვაწევნინო ჩემ შვილი-შვილს გიგლა-  
სო, რომელსაც დაჭვირდა—უსათუოდ მოგბერი ირ-  
მის რუს ნუკრსო. ტრეზორასაც უკრები ჩამოექარა,  
მოღალული და მოწევნილი იყო.

მესამე ღამის გატარებაც მოუხდათ ტექში ცხცა  
სლაბირას.

მხოლოდ ძეოთხე ღღეს, როდესაც მონადირეს  
და მის მაღლესაც ეოველი იმედი ღეგარებათ, სოუ-  
ლებით შემთხვევით წარწედენ ირმის და მისი ნუკ-  
რის კვალს ერთ ხშირ ნამცით მოფენილ გორაკზე.  
ჯერ ტრეზორამ მიაგნო იმ ადგილს, სადაც ირემს  
ღამე გაეტარებინა. მერე ბალახზე ნაფესურიც იპოვეს.

„დედა და მისი ნუკრი“, გაიფიქრა სოფორომბა,  
როდესაც დაინახა დიდი და პატარა ჩლიქების კვა-

ლი. დღეს დილით აქ ეოფილან... ტრეზორ! მოძებნე!..  
მალიან ცხელოდა. მზე უმოწეალოთ ახურებდა  
არე—პარეს. მაღლი ქნა—გამოგდებული სუნავდა ბუჩ-  
ქებს და ბალახს. დაფლილი სოფრომი ფეხებს  
ძლიფს მიათოვდა. აი ტოტების შრიალი და ფაჩი-  
ფუჩი მოისმის. მაღლი ბალახს გაეკრა და არ ინძ-  
რევა. სოფრომის თითქოს ესმის თავისი ავათმეოფი  
ძვილი-ძვილის სიტუები: „ბაბუა, მიშოვე ნუკრი...  
უქვეველათ რუსი.“

თვითონ ირემიც გამოჩნდა... ეს იუო მშვენიერი  
დედა—ირემი. ის იდგა მაღლა, ტუიან გორაკის თავა-  
ზე და შიშით შესცექოდა სოფრომს. მას ბზუილით  
თავს დასტრიალებდენ მწერები და ის წამ და უწუმ  
თოთოდა.

„არა, შენ მე ჯერ მომატუებ, ფიქრობდა სოფ-  
რომი, და თან თავისი საფარიდან ფრთხილათ გამო-  
დიოდა.

ირემმა იგრძნო რომ მონადირე ახლოს იუო და  
მის მოძრაობას გაბედულათ ადევნებდა თვალს.

„დედა—ნუკრს მაშორებს“, ფიქრობს სოფრომი  
და თანდათან უახლოვდება.

როდესაც მოხუცს უნდოდა იმისთვის თოფი და-  
ემიზნა, ირემი გადასტა ცოტა მოშორებით და ხელ  
ახლა შედგა. სოფრომიც ისევ თოფით მიეპარება და  
როდესაც დააპირა გასროლა, ირემი ხელ — ახლა მი-  
იძალა.

— ნუკრს ვერ მოშორდები, სად წამიხვალ! ბუტა  
ბუტებს სოფრომი და რამდენიმე საათს დიდი მოთ-  
მინებით უდარაჯებს.

საღამომდის გრძელდება ადამიანისა და პირუტ-  
ევის ბრძოლა. კეთილშობილი ირემი ათვერ მეტ  
განსაცდელში ვარდება, რომ მოაშოროს მონადირეს  
თავისი ნუკრი. მოხუცი სოფრობი ჯავრობს და თან  
უპირს თავისი. მსხვერპლის გაბედულობა... სულ  
ერთი არ არის, უბედურებას ხომ ვერ აიცილებს თა-  
ვიდან! რამდენჯერ მოუკლავს ამას ასეთივე თავგან-  
წირული დედა. ტრეზორი ჩრდილივით ფოფხავს პა-  
ტრონთან ერთად. და, როდესაც მონადირეს ირმის  
კვალი სრულებით დაუკარგა, ამან თავისი თბილი  
დინგი ფრთხილათ შეახო პატრონს. მოხუცი მობრუნ-  
და და ჩირგვებში ჩასკუბდა. სულ ასლოს ბუ-  
ჩქებში დგას რუსი ნუკრი, რომლის ძებნასაც საძი  
დღე მოუნდა. საუცხოვო ნუკრი იუო; იქნებოდა რამ-  
დენიმე კვირისა, უვითელ ბეწვიანი და წვრილ ფეხე-  
ბიანი. თავი უკან ჰქონდა გადაგდებული და კისერს  
წინ იწევდა, როდესაც ლერწმის ღეროს მოტეხას  
ლამობდა.

მონადირემ გულის ფანცესლით მოიძარვება თო-  
ფი, შიგ თავში დაუმიზნა პატარა პირუტევს.

ერთი წუთი კიდევ—და პატარა ნუკრი დავარდე-  
ბოდა ბალახზე ფართხალით და საცოდავი ბლავილით.  
მაგრამ სწორეთ ამ წუთს მოხუცებულ მონადირეს

მოაგონდა რა გმირულათ იცავდა ნუკრს მისი დედა; მოაგონდა დედამ ამისი საევარელი შვილიშვილი გიგლა როგორ თავგანწირვით დაიხსნა მგლებისა გან. სანამ მგლები მის ფეხებს ღრღნიდენ—თვითონ შვილს გადაეუარა და ასე შესწირა იმას თავისი სიცოცხლე. ბავში რაღაც სასწაულით გადარჩა.

მოაგონდა ეს უველავერი მოხუც სოფრომს, სინანული იგრძნო. თოვი მირს დაუშვა. ნუკრი წინანა დელივით ბუჩქის გარშემო ტრიალებდა, ფოთლებს უდარდელათ შეექცეოდა, მაგრამ მაინც უოველ სმაურობას სიფრთხილით უურს უგდებდა. სოფრომი საჩქაროთ წამოდგა ფეხზე და დაუსტვინა. პატარა პირუტევი წამსვა გაქრა ბუჩქებში.

— უჟ, რა მკვირცხლი უოფილა! თქვა მოხუცმა და თან დაფიქრიანებული იღიმებოდა,—თვალი ვერ მოვასწარი. შურდულივით გაჭქრა... სედავ, ტრეზორ, როგორ გაგვექცა ნუკრი. ჯერ პატარაა, უნდა გაიზარდოს... რა ფეხ მარდი და უოჩადი უოფილა!

მოხუცებული დიდხანს იდგა ასე ერთ ადგილას. იღიმებოდა—ნუკრის სიმარდეს, რომ იგონებდა.

მეორე დღეს სოფრომი სახლში მივიდა.

— ბაბუა, მომიუვანე ნუკრი? დაუხვდა წინ გიგლა, რომელიც მოუთმენლათ ელოდა მის დაბრუნებას.

— არა, გიგლავ... ვნახე კი...

— მერე რუსი იუო?

— რუსი, პირი შავი ჰქონდა. ჩირგვებში იდგა

და ფოთლებს დექავდა... თოვი დავუმიზნე...

— აგდეა?

— არა, გიგლა, შემებრალა, მეტათ პატარა იქო...  
დედაც შემებრალა... დავუსტვინე თუ არა, ნუკრმა მოჭა-  
კურცხლა, თვალის დასამსამება ვერ მოვასწარი, ისე  
გაჭერა ტექში... გაიქცა, ის საძაგელი!

მოხუცი დიდხანს უამბობდა გიგლას, როგორ  
დაეძებდა სამ დღეს ნუკრს ტექში და ბოლოს რო-  
გორ გაექცა. უმაწვილი უურს უგრებდა და ბაბუას-  
თან ერთად ბევრს იცინოდა.

როდესაც დასამინებლათ დაწვენ, ნამმინარევი  
აგათმეოვე უმაწვილი ეკითხებოდა მოხუცს.

— მაშ გაგექცა ნუკრი?

— გამექცა, გიგლა...

— რუსი იქო?

— სულ რუსი იქო, მხოლოთ პირი და ჩლიქე-  
ბი შავი ჭეონდა.

ამასობაში უმაწვილს ჩაეძინა. მთელი ღამე სე-  
დავდა პატარა რუს ნუკრს, რომელიც დედასთან ერ-  
თად მხიარულათ დასეიირნობდა ტექში. ბაბუას აც  
ტკბილათ ეძინა და ძილში სულ იღიმებოდა.

ტასო.

(თ ა რ გ მ ა ნ ი)



# პოლო და მისი ამხანაგები.

მგლები.



ივა, თოვლიანი ზამთა-  
რია. ხშირათ მძაფრი ქა-  
რი ჰქერის. მუდამ ქარ-  
ბუქია. ერთხელ ისეთი  
ქარბუქი ასტედა, რომ  
რამდენიმე ნაბიჯზე კაცი ვერაფერს ხედავდა, გარდა  
თოვლის ფერფლებისა. საღამოზე დედაკაცი მატრო-  
ნა ჩავიდა სარდაფში და იქიდან ეზოში რომ ამოვი-  
და, გზა ვეღარ გაიგნო. დაიწეო უკირილი: მიშველეთ,  
ქრისტიანები ვინა სართ! მაღლებმა ასტეხეს ეეფა,  
გამოვარდენ მოკამაგირენი და მატრონა მიიუვანეს  
კარებამდის. უბედური კანკალებდა და უკელას არწ-  
მუნებდა, რომ ავსულებმა დაუბნიეს გზა. მოკამაგი-  
რენი კი დასცინოდენ, დღეს ღვინო მეტი მოგსვლიათ.

ბოლოს ამინდი შეიცვალა. ქარბუქის შემდეგ  
მკაცრი უინვები დადგა. კოწო დიდხანს ვეღარ გამო-  
ვიდოდა სასეირნოთ, ვერც სოფლის უძაწვილებთან  
ისრიალებდა უინულზე, უნდა სახლში მჯდარიეო.  
დღეები მოკლე იდგა—ღამეები კი გრძელი.  
ერთხელ კოწოს დედა სანთელთან რაჭასც ჰქე-



რავდა, მამა ოთახში ბრულთასა სცემდა. კოწო კი ნა-  
ხატებს აფერადებდა. სიჩუმე იდგა. ისმოდა მხოლოდ  
საათის სმა. ეზოში ერობაშით ნერონმა დაიუქა. უურ-  
შამ სმა გასცა, ატედა უთავბოლო უეფა. დიანგა უპან-  
არ ჩამორჩა, ოთახიდან სმა გასცა, დაიყეფა. სოფ-  
ლის მაღლებმა ბანი მისცეს. ასტედა აურზაური. უუგით  
გამოაურუეს არე--მარე.

სახლის პატრონი შესდგა, დაუგდო ეური და თქვა:  
— მილებს იუ უყევენ!

კოწომ თავი მაღლა ასწია და იმანაც უური და.

၂၃။

მაღლები დმუოდენ, იუკიმოდენ. პატარა ხსნს  
შეძლებ, ფანჯრის ქვეშ, თოვლზე, ფეხის ხმა მოისმა.  
ვიდაც ამოვადა კიბეებზე. სახლის პატონი გავიდა  
დერეფანში.

— კინ ხარ? დაიძესა მან.

— მე ვარ, ლავრუშა; ჩვენ გუბეებში მგლები ჩა-  
საფრებულან. ღმერთს გეფიცებით ჩემი თვალით ვნა-  
ხე. მივდიოდი ჩემთვის ბოგიოზე. შევხედე და ვწედავ  
ჩასკუპებულან გუბეებში, ბევრნი არიან, თავები მაღ-  
ლა აუწევიათ და ღმუიან. გეფიცებით ღმერთს, მარ-  
თალს ვამბოძ.

— უსათუოდ მაღლები თუ გეჩვენა მგლებათ, ღია  
მილით უთხრა სახლის ჸატრონმა.

ლავრუშაძ დაიწეო ფიცი, ჩემი თვალით უნახეო.  
ნუ თუ შესცდა! მკლები არ უნახავს თუ!

სახლის პატრონმა სახქაროთ ჩაიცვა ტანთ, დაავლო  
სელი თოფს. კოწომ დაუწეო სექტნა, მეც თანწერმიუვანეო.

— კარგი, უთხრა მაძამ, მხოლოთ მე ნუ მომშორ  
დები. შენ კი, ლავრუშა, წადი და უთხარ მოჯამაგი  
რეებს უველანი გამოვიდენ.

არე-მარე გაანათა სავსე მთვარემ. კარ-მიდა-  
მო ნათლათ მოჩანდა.

სექტი, სახლის სახურავი და უველა შენობები  
თოვლით იუო შებურული, მერე თეთრი, სუფთა  
თოვლით. სახლის პატრონი თოფით, კოწო და მო-  
ჯამაგირენი—ზოგი ჯოხებით, ზოგი ორქაპით. გა-  
იარეს ბაღი და გაემართენ ბოგირისკენ.

— უურეთ, ერთი უურეთ, წაიჩურჩულა ლავ-  
რუშამ,—ხედავთ, როგორ სხედან.

უთქმელათაც უველამ დაინასა. გუბე ვიწრო და  
გრძელი იუო, ირგვლივ, ლერწამი შემორტემოდა.  
ლერწამს სქლათ გადაჭყარებოდა თოვლი და გუბები  
მთებსა და მთებშეა კელ-მინდვრათ მოჩანდენ. მთვარე  
ცხოვლათ ანათებდა არე მარეს და ბოგირიდან სამას  
ნაბიჯზე, თეთრათ მოუენილ თოვლზე მგლები შავათ  
მოჩანდენ.

— მკიდნი არიან, ოქვა აღელვებული ხმით ლავრუშამ.

მართლაც შკიდნი იუვენ. ეინულზე ერთი მეორეს-  
თან მიკრული ისხდენ, თავები მაღლა ბეწიათ, მთვა-  
რეს შესცეკეროდენ და ძაღლებივათ ღმუოდენ. ძაღ-  
ლებიც ხომ ხმირათ უღმურან მთვარეს.

— ეგ ძაღლები არიან? იყითხა კოწიმ დაბლის ხმით.

— ართ, მგლები არიან, უპასუხა მამამ,— უურუ  
რა კარგათ ჩანან ამ თეთრ თოვლზე. მათ ძაღლა  
აშვერილი უურებიც კი ნათლათ მოჩანს. აი, ერთი  
წამოდგა და წავიდა. უურუ გუდი როგორ აქვს ძირის  
დაშვებული და ფეხებ შეა მიკუმშული. თავი მგელს  
ძაღლზე დიდი აქვს, კბილები უფრო ღონიერი. არია  
ან ისეთი ჯიშის ძაღლებიც, რომელნიც ძალიან გვა-  
ნან მგლებს, მაგალითად ჩრდილოეთის ძაღლები. შო-  
რიდან მნელათ გაარჩევ, რომ მგელი არ არი. უურე-  
ბიც კი იმისთანა აქვთ, როგორც მგლებს.

მგლები თოვლზე ცოტა სანს ისხდენ, მოვარეზე  
ღმუუოდენ და მერე თითო თითოდ გაიქცენ ტუისკენ.

— მამა, რატომ არ ესვრი, თოფს? ჰქითხა კოწიმ.

— ძალიან შორს არიან, ვერ მოვახვედრებ, უნ-  
და ფრთხილათ ვიუოთ. მგლები ძალიან მშიერნი უნ-  
და იუვენ, რომ გაბედეს სოფელში შემოსვლა და  
თითქმის ფანჯრებთან ღმუილი. თვითონ მგლებიც  
ძალიან ფრთხილნი არიან, მხოლოთ შიმშილი ხდის  
მათ შეუბოვრათ და გაბედულათ. ახლა ისინი თითო  
თითოთ კი არ დაიბრებიან, ხროვათ იკრიფებიან. გა-  
ფრთხილდი, ეფრემ, უთხრა სახლის უფროსმა თავის  
მოხუცებულ მეფარეხეს.— არ გეწვივნენ შენ ფარეხში  
მოულოდნელათ სტუმრები.

— ჩვენ მკვდრები კი არა ვართ, უთხრა ჩიფჩ-  
ყით უკბილო ეფრემმა,— ხომ გავიგებთ, ძაღლები

რომ დაჭიეულენ მგლებს.

— მგლები გაიძვერა არიან, წამოიძახა მოჯამა-  
ვირე ჰეტრემ,— გახსოვთ უეფიას რა უევეს?

— რა უევეს, რა უევეს? წამოიძახა კოწომ.

— ამისთანა ეინგაში რა დროს ამბების მოქო-  
ლაა. ლამის ცხვირ-პირი გამიუინდეს, ოქა ეფრემა,  
მგლები გაუინული მაქვს, სითბო ძეჭირვება.

— მამა, გამიშვი ამათთან, შეეხვეწა კოწო,—  
მგლებზე მიამბობენ.

მამამ ნება მისცა და იოწო გაჭივა მოჯამაგირე-  
ებს. იმათსა მალიან თბილოდა, ოუმცა სულის შემ-  
ხუთავი ჰაერი იდგა. ეფრემი მოუჯდა ცეცხლს. სხვე-  
ბიც იქვე დასხდენ. კოწომ მოიკალათა თავის მეგო-  
ბარ ლაგრუშასთან. ჰეტრემ დაიწეო ასე ამბავი:

„სამი—ოთხი წინეთ, შენ კოწო ჸატა-  
რა იუავი, არ გეხსომება, ჩვენ გვეგანდა ჸატარა სვა-  
დი მაღლი, დავარქვით უეფია, ოეთრი, უვითელი წინ-  
წელებით. მალიან მარდი და ფხიზელი იუო. ამას-  
თანავე დაუფასებელი სახლის დარაჯი. ბრც წინეთ  
და არც ახლა არავინ არ შეედრება იმას. არაფერი  
არ გამოექარებოდა. რაკი დაჭიეულდა—უსათუოდ ვინ-  
მე იქნებოდა და მალა უნებურათ უნდა გამოგვეხდა-  
ნა გარეთ. არ იცოდა ცუდ უბრალოთ უეფა, არც  
მთვარეს შეჭურებდა სოლმე. სტაც რაღაც სხვანაირი  
ჰქონდა.

ის ზამთარი, რომელზედაც მე გრამბობთ, მეტა

ცივი იუო. სოფლის გარშემო ბევრი მშენები მგლები და დათარეშობდენ, უოველ ღამე ჩვენი უეფა მგლებს მოსვენებას არ აძლევდა. მერე ისე ხანგრძლივათ და დაუსვენებლათ ჰქევდა, რომ მოჯამაგირენი მალა უნებურათ უნდა გამოსულიერენ და მგლები გაეყარათ.

„ეტეობა მგლებმა ვეღარ მოითმინეს, შიმშილი მალიან აწუხებდა მათ, ჩვენ კარ-მიდამოს გარს უვალიდენ, ცხვრის ფარა ეგულებოდათ და კი ვერ მიჰკარებოდენ, უეფია უმოწეალოთ ჰქევდა, მოჯამაგირებს უძახოდა.

„უოველ ღამე მგლები გვეწვეოდენ. უეფა კი ბრაზობდა, მოთმინებას ჰქარგავდა. წინეთრომ მგლების მოახლოვება გაეგო დერეფანში დაიმალებოდა და იქიდან დმუოდა, ახლა გარეთ გარბოდა, გზაზე გასვლასაც ეი ლამობდა. ეტეობოდა მგლებმა მოთმინებიდან გამოიევანეს.

„ჩენ ისე შევეჩვიეთ, რომ მგლები უოველ ღას მედიოდენ, რომ აღარც კი გამოვდიოდით უერფის იმედით. მთელი დღის განმავლობაში მოდალულნი მუშაობით, როდესაც თბილათ ჩავწევებოდით დასაძინებლათ, გვეზარებოდა უინვაში გაძოსვლა. ხოლ გჯერ ძილში გვეხმოდა, რომ უეფია მგლებს უუფს, მაგრამ გადავბრუნდებოდით მეორე გმერდზე და გურჯობრდით უდარდელათ: მე თუ არა—მეორე გავა, მეორესაც რა ენაღვლებოდა და ამას მოჰქება ის, რომ უეფიაც დავკარგეთ და ცხვრებიც.



— როგორ? ჭყითხა კოწომ.

— „აი როგორ, დამიგდე უური, განაგრძო ჰეტ-  
რებ,—ერთ დამეს ჩვენ უველას შემოგვესმა, რომ უვ-  
ფია ღმუოდა, ჸევფდა, ეზოში დარბოდა, მერე შესწ-  
ედა უეფა. „მგლები მოჯვშორდენ მეთქი“ ვიფიქრე.  
ის კი არა, იცი რა მოხდა! მგლები ძალიან გაიძევ-  
რები არის. მართალია ღმერთმა სალაპარაკოთ ენა  
არ მისცა, მაგრამ ერთმანეთს მშვენივრათ აგებინების  
უველაფერს, რასაც კი განიზრასავენ და მათ მოინ-  
დომეს უვფია თავიდან მრავშორებინათ. შეგროვილი-  
უვენ ბევრნი. სულ რამდენი იუვენ—ვინ იცის, ისი-  
ნი ძალიან ცუღლუტები არიან. მოდის ხოლმე მთე-  
ლი ხროვა, ერთი მეორეს მწკრივთ მისდევს. თით-  
ქოს ერთმა მგელმა გაიარაო, კარგათ ოუ დააცქერ-  
დებით, თუმცა მნელი გასარჩევია, ხედავთ კვალი  
რამდენიმესია. მე თვითონ მონადირე ვარ და ვიცი  
ნადირის გაიძევერობა. მგლებმა რაც განიძრახეს აას-  
რულეს კიდეც. იმსხვერპლეს უეფია. საქმე ასე იქნე-  
ბოდა. მოეპარენ თურმე ჩვენ კარ-მიდამოს, ამოეფა-  
რენ საჯინიბეს და ერთი მგელი, ეტეობა წინ გამო-  
გზავნეს. ის მოუახლოვდა ჭიშკარს, ასტესა ხმაურო-  
ბა. უეფიამ გაიგო, მგელი სულ ახლოს არისო. გა-  
ბრაზებული გამოუვარდა ეზოში, მივარდა ჭიშკარს.  
ნახავდა რომ ერთი მგელი დგას. მგელს, თითქოს  
ძაღლისა შეეშინდა კიდეც, გარბის, მაგრამ იქით კი  
არ გაიქცეოდა, სადაც ამხანაგები იგულებოდა, მეო-

რე მხარეს, კალოსავენ. აუჩქარებლივ მიღის, თან  
უცქერის ძაღლს, თოთქოს იწვევს თავისგენ, აქეზი-  
ანებს: „ხედავ, შენი სულაც არ მეშინიანო.“ ეფუძ  
ჭებიანი ძაღლი იყო, მაგრამ მგელმა აჯობა. გავარ-  
და ეზოს გარეთ, უეფავს, მგელიცოტაცოტათი კიდევ  
გარის. ძაღლი მისდევს. ქარი რომ საჯინიბოდან  
ეოფილიეო უეფია იგრძნობდა მგლების ჩასაფრებას,  
და ეზოში დაბრუნდებოდა. ახლა კი უფიქრელათ  
მგელს მისდევდა: ასე გაიტაცა ამ მგელმა ჩვენი უე-  
ფია, მერე უსათუოდ გამოუვარდებოდენ სხვა მგლები  
და გზას შეუკრავდენ. რასაკვირველია საბრალო უე-  
ფია დაგლიჯეს, შეჭამეს და მისი თავი კალოზე და-  
აგდეს, სხვა ძაღლების შესაშინებლათ. დილით გი-  
ნოვეთ საბრალო უეფიას თავი.

თევდორებ თავი ჩაქინდრა და წამოიძახა: მეორე  
ღამეს მგლები შემომესივნენ ფარებში და ოცდაათი  
ცხვარი მომიკლეს.

— განა სხვა ძაღლები არა გუვანდათ? იკითხა  
ქოწომ.

— სხვა ძაღლები, რასაკვირველია, გვევანდა, გა-  
ნაგრძო ჰეტრემ,—ხოლო სულ გამოუცდელი. ისე  
შეეძინდათ, რომ დერეფანში მიიმალენ და სხა არ  
ამოუღიათ.

— განა ძაგდენი მგლები იუგენ, რომ ოჩდაათი  
ცხვარი შეჭამეს? დაკითხა სელ ახლათ ქოწო.

— არა, განაგრძო ჰეტრემ,—მგელი, მგონი, ორის



მეტი არ იუო, კვალზე გამოჩნდა, ორი ცხვარი თან  
წარითათ. კედელი გაეთხარით ფარესის ქვეშ და ისე  
შემძღვალიუვენ შიგ. ცხვარი სომ სულელია, რასაც  
გინდა იმას უზამ, სხას არ ამოიღებს. ერთ მგელსაც  
შეუძლიან ფარესი გაანადგუროს. ერთბაშათ მივარ-  
დება ბევრს, ერთს მუცელს გამოუფაშავს, მეორეს  
სწვდება ეანურატოში, მერე მესამეს მოიგდებს ქვეშ.  
ასე გააფუჭებს ბევრს. ცხვრები აქეთ იქით გაიფან-  
ტებიან, მერე ისევ შეგუმშდებიან, ერთმანეთს მიეკვ-  
რიენ, თითქოს ელიან, რომ მცელი მივარდება მათ.  
საცოდავები საშინელი სულელები არიან.

— რომ იცოდე, ერთხელ მე რა დამემართა, ბა-  
ბუა თევდორე! წამოიძახა ლავრუშამ,— როდესაც მე-  
ცხვარეთ ვიდექი მე ნიკოლის სოფელში, იქაურ სა-  
სელმწიფო ტუეში ურიცხვი მგლები იუჟენ. მალიან  
მნელი იუო საქონლის მწევემსობა. მე და ბაბუა ნი-  
კიფორე ცხვრებს ვამოვებდით. ნიკიფორე მოხუცი  
იუო, მე კი ჯერ ასაკშიაც არ ვიუავი, მეთოთხმეტე  
წელიწადში ვიდექი. აი მაშინ რა შიში ვჰაძე! ვამო-  
ვებ ჩემთვის ცხვარს და იმ დროს მგელი ტეიდან  
იპარება. რანაირათ მეშინოდა მე იმათი. მერე კი შე-  
ვეჩვიე, აღარაფრათ ვაგდებდი. აი ვდგევარ მე და ჩე-  
მი გულა სამწევესოთ, ნიკიფორე სოფელში იუო წა-  
სული. ტუის თავში მე ვდგევარ, ბოლოში ისა. მა-  
ლიან ცხელოდა. საშინლათ მემინებოდა, ბუჩქის ძია,  
რას მივწექი. ჩამოვლიმა. თითქოს ვიდამაც წიგრია

აფასილე თვალები და დავინახე ათ ნაბიჯზე ჩემგან,  
 რომ ვეება მუ მგელი მივარდა ცხვარს, მოიტაცა და  
 ტეისკენ მიათრებს, ვწვდი კუდი და თან ვევირი.  
 რას გავაწეობდი. ის ორჯერ მეტათ ჩემზე ღონიერი  
 იქო და ორივეს ტეისკენ მიგვათრევდა. გულა საძ-  
 ველათ მორბოდა—და ქოჩორში სწვდა მგელს. მაგ-  
 რამ მგელი ჩვენ სამივეს გვჯობნიდა, ცხვარს კლან-  
 ჭებიდან არ უშვებდა. ვინ იცის რითი გათავდებოდა  
 ჩვენი საქმე, რომ მახლობლეთ ზურის სამკალათ გა-  
 მოსული სოფლელები ჩვენ ევირილზე არ მოგვშვე-  
 ლებოდენ. მგელმა მაშინ კი იკადრა და ცხვარი მი-  
 ატოვა, გულა ზურგიდან გადმოაგდო, მეც მაშინვე  
 გაუშვი სელიდან კუდი, შემეშინდა, არ ექბინა ჩემთვის.


— მერე, მერე რა მოხდა? ჰყითხა კოწომ.

— მერე და არაფერი. მგელი ტეეში გაუარდა,  
 გულა დიდხანს კოჭლობდა! მგელს ფეხში ეკინა. მემოდგომაზე მონადირე სწორები ის მგელი მოჭკლა.

(დასასრული შემდეგ)

ან. წერეთელი.





## ქუჩის შვილი.



ქარა-ქუჩა და ცუნცულებს  
პაწაწინა ქუჩის შვილი;  
გულს უკლავს და ცრემლებსა ჰგვრის  
თან სიცივე, თან შიმშილი.

ოლარავინ გააჩნია  
მფარველი და გულ-დამწველი;  
უთვისო და უდედმამო  
დაწანწალებს ფეხ-შიშველი.

სამათხოვროთ გამოსულა,  
გაუწვდია საწყალს ხელი,  
მაგრამ ზედაც არ უყურებს  
გამვლელი და გამომვლელი.

ეს, საბრალოვ, უწყალოა,  
გულ-მკვდარია ეს სოფელი;  
მრავალია ამ ქუჩებში  
უნებრ ნორჩი, ცრემლის მღვრელი.  
გ. ქუჩიშვილი.

## მოგონება.



წორედ ხუთმეტი წელიწადია, რაც ეს მზარე:  
ეს მთები, ეს ტყეები აღარ მინახავს. აქ კი  
ავილგი ფეხი, ამ მწვანე ველებმა, მთებმა და  
ტყეებმა მასწავლა ტკიტიკი,—ნავი მირწევდა  
ბუნების მკერდზე აკვანს. აქ გავატარე ჩემი  
ყრმობის პირველი დღეები, ამ ბუჩქებში ალ-  
ვიზარდე კურდლელივით.

აი ქედზედა ვდგევარ. ჩემ წინ ველია დაფენილი და ორ-  
გვლივ უღრანი ტყეები. ამ ველის ბოლოში, ტყის პირში,  
მახსოვს, ჩვენ ძროხა გვედგა; აქედან ვუყურებდი აღაზან  
გაღმა თეთრ ზურგა, ცამდე აზიდულ მთების ქარავანს... აი,  
სწორედ აქ იდგა ქოხი, სადაც ახლა ვდგევარ, თითქმის ნა-  
ბოძებსაც კი ვპოულობ ქოხისას, მაგრამ დროსა და უაშ  
ბევრი რამ წაუშლია; აი ამ ქოხის წინ ასი ნაბიჯის მოშო-  
რებით ტყის პირში ორი უხარ-მახარი წიფელი იდგა; ვინც  
კი სოფლიდან ამოვიდოდა თოფიანი, თავს მოვალეთ სთვლი-  
და, გვერდი ჩამოეთალნა ერთ-ერთ წიფლისთვის და თოფი  
ესროლნა ნიშანში. ეხლა ის წიფლები იქ აღარ არიენ, ძი-  
რიან—ფესვიან ამოუგდია უამთა დენას... სად იდგნენ?.. ვე-  
ლარა ვცნობ... მგონი აქ იდგნენ, დამპალი ძირკვი რო ამო-  
ჰუგირავს დედამიწიდან... დანარჩენი სულ ამოლახებულია.—  
რამდენი ცვლილება მომხდარა ღმერთო ჩემო! ირგვლივ რომ  
ვუყურებ, თითქო არაფერი შეცვლილიყოს: მთები ისევ ისე  
დგანან, ტყეებიც თითქოს ისეთი უღრანია და ხელუხლებე-  
ლი, მაგრამ ახლო რო დაუკვირდები, ყველაფერში ვატყობ  
ცვლილებას.

გათვალიერებ. მაშინ აქ, ამ ველის შუაგულში მაჟალო  
იდგა, მაგრამ მოუკრია ვიღაცის მზაკვარ ხელს... იმ მაჟა-  
ლოს აი ეს მაყვლები ერტყა გარს... ჩემი ძალები ლომია

და ალაშა ახლად თვალ ახილული ლეკციები იყვენ, ამ მაყვლებში შეძრებოდენ ხოლმე დილით და, მკათათვის მზე როჩიიშურებებოდა დასავლეთში, მაშინ გამოძვრებოდენ ისევ და თამაშობდენ მწვანე ველზე... როგორ კარგად მახსოვს, თის თქო გუშინ იყოო. ერთხელ აი ამ მაყვლის ძირში, თამაშობის დროს, ჩხუბი მოუყიდათ, მე გავაშველე, ორივეს მოუალერსე და, როცა დაავიწყდათ ჩხუბის მიზეზი, ისევ განავრდეს თამაშობა; მერე, როცა, გაიზარდენ, მაფალოს ველის თავში რო ამოვიდოდი შინიდან მთაში მიმდალი, ისინი ველის ბოლოში იგრძნობდენ და მომეგებებოდენ ხოლმე. ჩემ ხელში დაიზარდენ აქა და სამწუხაროდ ისევ ჩემ ხელში და-იხოცენ.

სულ თვალწინ მეშლება ჩემი აქაური ცხოვრება ხუთმეტი გაზაფხულის წინათ; მაშინ ათის წლისა ძლივს ვიყავი, სულ ამ მაყვლებში და ამ ტყეებში დავხტოდი ციყვივით. მაშინ ჩემზე უფროსი ძმა შაქრო აქ იყო: ის სულ გამუდმებით ძროხაში დარჩა, მე რო სასწავლებელში წამიყანენ. რა მშვენიერათ, რა ნათლათ მახსოვს: აი ამ მაღალ ჭინჭრებში ექვთიმიძანთ ალექსამა და ჩემმა ძმამ შაქრომ იჭიდავეს.

აგერ კაკანა სერიც. იმ სერზე ერთი დიდი წიფელი იდგა არქიელივით განიერი; ის კარგა ერჩეოდა სხვებში. იმ წიფლის ქვეშ მე და პაპუანთ ქატა, ხმორებს რო გავრეკილით ბალახზე, დილიდან საღამობდე სულ კენჭაობასა ვთამაშობდით და ბევრჯერ ისე გავრთულვართ კენჭაობაში, რომ ხბორები დაგვიკარგავს. ის წიფელი იქ აღარ არის. გამხმარა, მერე ვიღაცებს ცეცხლი მიუციათ და დაუწვავთ: მომწვარი ძირკვები-და ამოიყურებიან დედამიწიდან. ეხლა იქ თანაბარი ტყეა და აღარ განირჩევა ის წიფელი, არქიელივით რომ იდგა ქედზე. ნეტავ თუ კიდევ ამოვა იმისთანა წიფელი იმ აღვილზე? ფოთლები თრთიან და თითქო ჩურჩულებენ: „აღარასოდეს!“ „აღარასოდეს!“

ამავე კაკანასერზე ერთი მაღალი რცხილა იდგა. ისიც ისე ერჩეოდა მაშინ მაღალთა შორის. აღარც ისა სჩანს. ერთხელ იმ რცხილის ქვეშ გვედგა ძროხა; ქოხი ზედ რცხილის

ძირზე გვქონდა მიღვმული; იქიდან ძალიან კარგათა ჩანს დაბლა დაფენილი სოფელი კატაბეთი, ივრის ხეობა და, თუ ავდრის შემდეგ მოწმენდილ სივრცეში კარგა დაკვირდებით, თბილისიც. მაშინ მე ჯერ არ ვიცოდი რა იყო ქალაქი,— აქ ფულურო რცხილა იყო, ქარს მოუტეხია და მერე სულ-მთლად დამპალა, იმის ნადგომზე ძროხები ყრილან და ერთი კეწეწიც კი აღარა გდია მის მოსაგონებლათ.

ერთხელ როცა ამ რცხილის ქვეშ გვედგა ძროხა, ჩვენთან ქალაქელი უცხო სტუმრები ამოვიდენ სოფლიდან და მაწონი ვაჭამეთ; ოცი ვაჟი იქნებოდა და ოციც ქალი. ერთში ჩემოდენავე, საამური სახის ქალმა ფარაჯის სახელოზე ხელი წამავლო და მკითხა: თქვენ რა გქვიანთ?“ მე გამეხარდა, რომ თავი გამიყადრა ქალაქელმა ქალმა, მაგრამ იმის მეტი ვერა მოვახერხებ—რა რომ ხმა მაღლა ვკითხე: „შენ სადაური ხარ?“ იმას რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ამ დროს სარქალმა დამიძახა: „წალი, ხბორები არ დაიკარგნენ ტყეში, ნადირმა არა გააფუჭოს—რაო. გულდაწყვეტილი დავშორდი სტუმრებს. ყოველი მთა, ახო, ველი, ხე და ბუჩქნარი, უკევლად, მაგონებს რამეს ჩემი წარსული ცხოვრებიდან.“

აგერა ყარასწვერი, მგლების სანიავო, მის დაბლა დვრინი, დათვების სამეფო. ერთხელ, როცა დვრინში გვედგა ძროხა, ღამე ოლოლი იძახდა „მებორეო..“. ბიჭებმა მომატყუეს, შაქრო გეძახისო და მეც რამდენიმეჯერ გამოვეძახე; ის კი ისევ იძახოდა მგლოვიარე ხმით: „მებორეო“. ბოლოს მივხვდი, რომ შაქრო კი არა, ოლოლი იძახოდა და დარცხვენილი შეედი ქოხში. რამდენჯერ შეუშინებივარ იქ ნადირს თავისი საზარელი ღმუილით... ის ტყე, ის ხეები, ის აღამიანები, მაშინ რომ იყო, აღარასოდეს აღარ დაბრუნდებიან, ვფიქრობ მე.


გულის სილრმიდან ხმაურობს კვნესა, კვნესას თან მოსდევს მხურვალე ცრემლი და ვამბობ: ნეტავ მცოდნოდა ბავ-შობისას თუ ყველაფერი წარმავალი იყო—უფრო მეტად გავიხარებდი მეთქი.

რა ტკბილი, რა ნათველი იყო სამუდამოთ გამქრალი ბავშობა!

ი. მჭედლიშვილი.

# ნაკოვარა.

(სელმა ლაგერლე-  
ფის მოთხოვბა)



უდიანი ქალი ტყით მიღიოდა. ზურგზე, ხის ქერქის გოდრით, თავისი პატარა ვაჟი ჰყავდა წა-მოკიდებული. ბავში მსხვილი და უშნო იყო, ჯაგარასავით თმა ჰქონდა, ნემსებსავით წა-წვეტებული კბილები და ნეკზე გრძელი ბრჭყალი, მაგრამ, რასაკვირველია, დედა მისი დარწმუნებული იყო, რომ მაზე ლამაზი არსება ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა.

კუდიანი ტყის პიჩს მიადგა. აქ გზა გადიოდა, ორჩო-ჩოლრო და სრიალია, დაკლაკნილი ხის ძირებით მთლიათ და-ლარული. უცებ ამ გზაზე ორი ცხენოსანი გამოჩნდა, ვიღაც გლეხი თავისი ცოლით. ჯერ კუდიანმა გადაწყვიტა ისევ ტყეში შემალულიყო, მაგრამ თვალი მოჰკრა, რომ გლეხის ცოლს ხელში ბავში ეკავა და აზრი შეიცვალა, გზას კიდევ უფრო მიუახლოვდა და ერთ დიდ კაკლის ხეს ამრეფარა.— „აბა, შორიდან მაინც დავინახოთ, თუ ადამიანის შვილიც ისე ლამაზია, როგორც ჩემიო!“ — გაიფიქრა მან. მაგრამ, ცხენოსნები რომ მოახლოვდენ, მას სიფრთხილე დაავიწყდა და სწრაფათ წინ წაიწია. ცხენები შეაშინა მისმა გაჩეჩილმა შავ-მა თმში, ისინი დაფრთხენ, ყალყზე აღენ და ოთხ-ამოლებით გაკენდენ. გლეხმა და მისმა ცოლმა ძლივს შეიმაგრეს ზედ თავი, ერთი წამოიყვირეს, დაილუნენ, აღვირს მოსწიეს და მოსახვევში მიიმალენ.

კუდიანმა ადამიანის შვილი რომ ვერ დაინახა, სიბრა-ზით კბილები გააკრაჭუნა. მაგრამ უცებ სიხარულით შეკრ-

თა. ბავში მის წინ, მიწაზე ეგდო. ის დედას ხელიდან გავარდნოდა. ეს პატარა ოქროს თმიანი ვაჟი იყო. უკნებლათ იწვა ხმელი ფოთლების გროვაზე და ხმა მაღლა ჰყვიროდა. მაგრამ, როგორც კი კულიანი მის დასახელვათ დაინახა, ის გაჩუმდა, გაიღიმა და ორივე ხელი გამოსწია მისი შავი ბანლის შესახებათ.

კულიანი შემკრთალი იდგა და ყურადღებით ათვალიერებდა აღამიანის შეილს. ის დაჲყურებდა ფუნჩულა, ვარდისფერ ფრჩხილებიან პაწაწა ხელებს, ნათელ ცისფერ თვალებს და ალისფერ გაპუტკუნებულ ტუჩებს, უშინჯავდა აბრეშუმ-სავით წმინდა, ხუჭუჭ თმას, უსვამდა ხელს ნაზ ლოკებზე და გაკვირვებას ეძლეოდა, რომ ბავში ასეთი ლამაზი, ასეთი მშვენიერი იყო.

უკრათ მან მოიგლიჯა ზურგიდან ხის ქერქის გოდორი, ამოიყვანა თავისი საკუთარი ვაჟი და იდამია ნის ვაჟს მიუსვა გვერდით. და როდესაც დაინახა, რა დიდი და სამწუხარო განსხვავება იყო მათ შორის, ველარ მოითმინა და ბრაზ-მორეული აზუვლდა.

ამასობაში გლეხმა და მისმა ცოლმა თავისი ცხენები და ამშვიდეს და შვილის მოსახებნათ გამოეშურენ. კულიანს რომ ცხენების ფეხის ხმა შემოესმა, თვალებზე ცრემლები მოადგა, ჯერ კიდევ ვერ დამტკბარიყო ოქროს თმიანი ბავშის ცქერით და ენანებოდა მისი მოშორება. ის უძრავათ გაშეშდა, ერთ წამს ყოყმანობდა, მერე კი სწრაფ გადაწყვეტილებას დაადგა. თავისი საკუთარი ვაჟი გზის პირას დატოვა, ხმელი ფოთლების გროვაზე, ადამიანის შეილი კი გოდორში ჩიისვა და ტყისკენ გააქანა.

— : —

მიიმაღა თუ არა კულიანი ტყეში. გზაზე გლეხი და მისი ცოლი გამოჩდენ. ესენი კარგი შეძლებული, ყველასათვის საყვარელი და ყველასაგან პატივცემული გლეხები იყვენ. მშვენიერი სამოსახლო ჰქონდათ ამ ტყიანი მთის ძირში. რამდენიმე წლის ჯვარდაწერილთ მხოლოთ ერთი შეილი ჰყავდათ, ამიტომ აღვილი წარმოსალგენია, რა შიშით და



აღელვებით მოესწრაფებოდენ მის საპოვნელით.

ცოლი ქმარზე ბევრათ წინ იყო და პირველში შენიშნა გზის პირას ბავში, რომელიც საზარლათ ღმუოდა, დედას უძახოდა. მარტო ამ ღმუილზედაც უნდა მიმხვდარიყო ქალი, რომ ეს მისი ვაჟი არ იყო, მაგრამ მას გული უსკდებოდა, ვაი თუ ბავში დაინტერა და მოკვდაო, ამიტომ ყვირილის გაგონებაზე მხოლოდ სიხარულით ჩაითიქრა: — „მადლობა ღმერთს, ცოცხალიაო!“

— აი, ევერ არის ჩვენი ბიჭიკო! — აღტაცებით დაუძახა მან ქმარს, ჩამოსრიალდა უნაგირზე და ბავშისკენ გაიქცა.

გლეხი რომ მოახლოვდა, მისი ცოლი ფოთლების გროვასთან იჯდა და ბავშს ერთი გვერდიდან მეორეზე აბრუნებდა. ისეთი შეხედულობა ჰქონდათ ითქო ჰქუაზე შეიშალაო.

— ჩემს შვილს როდის ჰქონდა, ასე ეკალსავით კბილები? — გაფანტვით ამბობდა ის, და მის ხმაში სულ მეტი და მეტი სევდა ისმოდა. — ჩემ შვილს სად ჰქონდა ამისთანა ჯარა, ან ეს ბრჭყალი ნეკზე?

გლეხმა იფიქრა, ცოლი გადამერიაო, სწრაფათ ჩამოხტა ცხენიდან და მიირბინა მასთან.

— აი, შეხედე ჩვენ ბიჭიკოს და მითხარი, რამ გამოცვალა ასე! — ნაღვლიანათ უთხრა ცოლმა და ბავში გაუწოდა. გლეხმა გამოართვა ბავში, მაგრამ, შეხედა თუ არა, ზიზლით იქათ გადისროლა და თან სამჯერ გადააფურთხა.

— ეს კუდიანის შვილია! — წამოიძახა მან. — ეს ჩვენი შვილი არ არის!

ცოლი უძრავათ იჯდა გზის პირას. მას ჯერაც ვერ გაეგო, რა მომხდარიყო.

— საიდან გაჩნდა აქ ეს ბავში? — ბოლოს იკითხა მან.

— უთუოთ კუდიანი აქ საღმე ახლო-მახლო იყო, — უპასუხა ქმარმა. — იგდო ხელთ დრო, მოიტაცა ჩვენი შვილი და სამაგიეროთ თავისი დაგვიტოვა.

— აბა ჩემი ბიჭიკო სად არის ახლა? — საცოდავათ შეეკითხა ცოლი.

— უთუოთ კუდიანისას, — მიუგო ქმარმა.

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, მიხედა ქალი თავის უბედურებას. ის მთლათ გაფიტრდა და აკანკალდა, ქმარს შეეშინდა. აქვე არ გათავდეს.

— შორს არსად იქნება ჩვენი შვილი, უთუოთ აქვეა სადმე, ახლოს! — უთხრა მან ცოლს, სანუგეშებლათ, თუმცა თითონ არავითარი იმედი აღარ ჰქონდა ვაჟის პოვნის, — შევიდეთ ტყეში, დავძებნოთ.

მან ცხენები კაკალს მიაბა და მართლაც ტყეში შევიდა. ცოლიც წამოდგა, რომ უკან გაჰყოლოდა, მაგრამ შენიშნა, რომ კუდიანის ბავში მიწაზე ეგდო. ადვილი შესაძლებელი იყო ცხენებს გაესრისათ, მით უფრო რომ მისი სიახლოვე მათ აშინებდა და აფრთხობდა. ისინი სულ ფრუტუნებდენ, უკან-უკან იხეოდენ და ფეხებს აბაკუნებდენ. გლეხის ცოლს ხელ-ახლავ კანკალი აუგარდა იმ ფიქრებზე, რომ კუდიანის შვილს ხელი უნდა მოვკიდოო, მაგრამ მაინც აიყვანა უშნო ბავში, განზე გასწია და ისე დააწვინა, რომ ცხენები ვეღარ მიწვდომოდენ.

— აი რიჩხინა, რომელიც ჩვენ შვილს ხელში ეკავა! — დაუძახა ამ დროს ქმარმა ტყიდან. — ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მის კვალს მივაგენი!

ცოლი მისკენ გაეშურა და ორივემ დიდხანს და ძალიან გულმოდგინეთ ეძებეს ტყეში, მაგრამ ვერც ბავშს მიაგნეს და ვერც კუდიანს. როცა დაბამდა, იძულებული გახდენ ცხენებთან დაბრუნებულიყვენ. ცოლი ტიროდა და ხელებს იმტვრევდა. ქმარი ხმას არ იღებდა, გაჩუმებული მოდიოდა. ის ძევლი, კარგი შთამომავლობის გლეხი იყო, ძმები და ნათესავები აღარ ჰყავდა, და მისი გვარი მთლათ ამოწყდებოდა, ვაჟი რომ არ შეძენოდა. ახლა კი ეს ვაჟი დაეკარგა! ის მოდიოდა და ცოლზე ჯავრობდა, როგორ გაუგარდა ბავში ხელიდანო, მაგრათ უნდა ჰქავებოდა და მას უფრო გაფრთხილებოდა, ვიდრე თავის თავსო. მაგრამ ცოლის გამწარებას რომ ხედავდა, იღარავერს ეუბნებოდა.

გლეხმა კიდეც შესვა ცოლი ცხენზე. როცა ქალს კუდიანის შვილი გაახსენდა.

— ମଧ୍ୟ ଦାଵିଦର ହାଲା କେବୁଣ୍ଡା? — ଫାମନ୍ଦିବା ମାନ.

— ହା ଏହା? — କୁଣ୍ଡବା ଜ୍ଞାନମା.

— ଯଗ୍ନି ଶ୍ରୀଶ, ହିନ୍ଦୁଗ୍ରେବିଶ.

— ହା ଉପିରୁ, ଏହିଶ୍ରୀ ମହାବିନୀରିପ ଏହିବି! — ଫାଇଲାବାରାକୁ ଗଲ୍ଲେବିମା ଓ ମହାରୂପ ହାତିବିନା.

— ଖଣ୍ଡା ଫାଵିପୁଣ୍ଡାନାଟ! ଏହି ବନ୍ଦ କେବଳ ଡାକ୍ତରିକ୍ସିଟି, ଏହି ଖଣ୍ଡାରୁନାଟ, ପ୍ରୁଣି!

— ହାତୁମ ଏହା? ସିରିରୂପ ଏହି ଖଣ୍ଡା ଡାକ୍ତରିକ୍ସିଟି, ପ୍ରୁଣି.

— ମିଶ୍ରମ ଗଲ୍ଲେବିମା ଓ ଉଚ୍ଛାନ୍ଦିଶି ଫେରି ଗାଉୟାରା. — ମାଗିବି ଏହିବିନା ଏହି ଏହିବିନା.

ପୁଅଳି ଦାତାନ୍ତମଦା, ହନ୍ତ ମାରିତଲା ମାତି ଶାଖୀ ଏହିବିନା କୁଣ୍ଡିନାଟ ଶ୍ରୀଲିଙ୍କ ଶର୍ମିନ୍ଦା, ଅମିତୁମ ପ୍ରେକ୍ଷନ ଶ୍ରୀମତୀକୁରା ଓ ହାମଦ୍ରେବିନିମ୍ବି ନାଦିଜି ଗାଲାଦିଗମ୍ଭେବିନା. ମାଗରାମ ମାତି ମେତାତ କ୍ରେତିଲି ଓ ଲମ୍ବାଦିଏରି ଗୁଲି କ୍ଷେତ୍ରନାଟ. ଓ ଖଣ୍ଡାବିଲିକ୍ସିଟି ଏହି ଶ୍ରୀକୃତୀରା ପ୍ରେକ୍ଷନି.

— ଏହା, ଏହି ବନ୍ଦ ମାନିପ ଖଣ୍ଡିଏବ ଦାଵିଦିବା! — ତକ୍ଷା ମାନ. — ହନ୍ତଗର ଶ୍ରୀକିଲ୍ଲାବା ଏହି ଡାକ୍ତରିକ୍ସିଟି, ମଗଲ୍ଲାବିନ ଦାଶାଗଲ୍ଲେଜାଟ! ମନମ୍ଭବ ଏହି!

— ଏହା, ମାଗିବି ମେ ଏହାବିନାଟ ଏହି ବିଶ୍ଵାମି! — ମିଶ୍ରମ ଜ୍ଞାନମା.

— ଯେତୋଟି ଏହି!

— ତା ଏହା ଏହି ମନମ୍ଭବ, ଏହି କୁଣ୍ଡାବିଲି ବିଜ୍ଞାନି ଲାଭେ ମନ୍ଦବର୍ଜନନାଟ ଓ ଫାଵିପୁଣ୍ଡାନା. — ଖଣ୍ଡାବିନା ପ୍ରୋଫେସରମା.

— ମଗନ୍ଦି କୁଣ୍ଡାବିନା ଶ୍ରୀଲିଙ୍କିପ ମନମ୍ଭବାପା ଓ ପ୍ରୋଫେସର ଗାଲାମିନାଟ! — ଫାଇଲାବାରାକୁ ଗଲ୍ଲେବିମା. ମାଗରାମ ମାନିପ ଏହିବିନା ଦାଵିଦି ଓ ଗାଲାବାପା ପ୍ରୋଫେସର, ହାଲାବାନାପ ଦାଲାବାନ ଶ୍ରୀବାରତ ଏହିବିନା ଏହିବିନା ଏହିବିନା.

— — —

ମେହରୀ ଲାଲେ ମନ୍ଦବିଲମ୍ବା ବାନ୍ଦାମା ଶ୍ରୀଲିଙ୍କିପ ଗାନ୍ଧି ଏହି ଖଣ୍ଡାବିଲିକ୍ସିଟି ଓ ପ୍ରୋଫେସର, ଲାଲେ ଲାଲେ ଓ ତାରାରା, ଗଲ୍ଲେବିନ ଶାବଲିକ୍ସିଟି ଗାନ୍ଧିଶ୍ରୀ ଏହିବିନା ଏହିବିନା ଏହିବିନା ଏହିବିନା ଏହିବିନା ଏହିବିନା.

— ବିନାପ ଶାବଲିଶି ମାଗିବିନା ନାମକାରା ଶ୍ରୀଶ, ପ୍ରୋଫେସର ଲାଲେ ଲାଲେ ଓ ତାରାରା ଶ୍ରୀମତୀ ପ୍ରେକ୍ଷନ ଏହିବିନା!

— ହାତୁମ ଖଣ୍ଡା ମନ୍ଦବିଲମ୍ବା ଏହିବିନା ଏହିବିନା?

გლეხის ცოლმა.—მართალია, ძალიან უშნოა, მართალია, სა-  
დაგელია, მაგრამ ცუდი ხომ მაინც არაფერი უქნია?

— არაფერი! — დაეთანხმა მეორე ხნიერი ქალი. — მაგრამ  
როცა კუდიანის შვილს ისე სცემ, რომ სისხლს ადენ, კუდი-  
ანი დიდი ამბით და იურ-ზაურით შემოგივარდება სახლში,  
გადმოგიღდებს შენს შვილს და წაიყვანს თავისას.

— მეც ბევრი ვიცი მაგის მაგალითი! — დასძინა მესამე  
ქალმა.

გლეხის ცოლი კი ისმენდა ყველა ამას და პფიქრობდა,  
რომ ამას ვერ იზამდა, რომ ეს მისთვის შეუძლებელი იყო.

საღამოს, როცა ის მარტო დარჩა, ნაპოვარასთან ერ-  
თათ, ოთახში, ისეთი სევდა შემოაწვა გულზე შვილის მო-  
გონებაზე; რომ აღარ იცოდა რა ექნა. — „იქნება მართლა  
დამიბრუნდებოდა ჩემი ბიჭიკო, ამას რომ გავწირავდე?“ —  
გაიფიქრა მან, მაგრამ მაინც ვერ შესძლო ბავშის გალახვა.  
ამ დროს ოთახში მისი ქმარი შემოვიდა, დიდი ჯოხით ხელ-  
ში, და კუდიანის შვილი მოიკითხა. ცოლი მიხვდა, რომ  
მას უნდოდა ნაპოვარასთვის სისხლი ედინა: თავისი შვილის  
დასაბრუნებლათ.

— კარგს იზამს! — გადაწყვიტა მან. — მე ნაშეტანი სუ-  
ლელი ვარ და ვერ მოვახერხებდი უდანაშაულო ბავშის ხე-  
ლის ხლებას. მაგრამ, დაპრა თუ არა ქმარმა ნაპოვარას  
ცოლი მაშინვე მივარდა და ხელში ხელი სტაცა.

— ნუ სცემ, ნუ სცემ! — შეევედრა ის.

— შენ, როგორც ჰგავს, არ გინდა, რომ შენი შვილი  
უკან დაგიბრუნონ? — ჰკითხა ქმარმა და ხელი გაინთავისუფლა.

— მაგ საშუალებით არ შემიძლია! — წამოიძახა ცოლმა.

ქმარმა ხელ-ახლავ ასწია ჯოხი, მაგრამ ცოლი ახლა ნა-  
პოვარას მივარდა და ისე გადაეფარა, რომ ჯოხი მას მოხვ-  
და ზურგზე.

— ღმერთო მაღალო! — წამოიძახა სასოწარკვეთილებით  
გლეხმა. — შენ ნამდვილათ გინდა, რომ ჩვენი შვილი სამუ-  
ლამოთ კუდიანს დარჩეს!

ის გაჩერდა და ელოდა, მაგრამ ქალი არ ინძრეოდა

ଗାଢାଫାରିଯଦା ନାଥପ୍ରକାଶ ଦା ପିତାପଦା ମାସ. ମାତ୍ରିନ ଗଲ୍ପକ୍ଷମା ହୁଲ  
ମନ୍ଦିରମା, ଜନ୍ମି କୈତ ଗାଢାଗଲା ଦା କାରାଫାରି ଗାଵିଲା ପନ୍ଥା  
ବିଲାନ. ମେର୍ଯ୍ୟ ମାନ୍ଦିର ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା, ଏତମ ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଦା ଗାଵି  
ତାନ୍ତ୍ରିକ ହେଠିମ. ମଧ୍ୟ ଚାମି କି ବେରାଫ୍ରେଣ ମନୋବ୍ୟକ୍ତିବା, ବାଲୀପ କାହିଁ  
ଦରା, ବାଲୀପ ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ନେବାସ ପ୍ରକଳିତ ଚିନିବାଲମ୍ବନ୍ଦେହ ଚାମ୍ପୁ-

ଲୋକମୁଖୀମେ ଲେଖି ଦାୟୀରୁଲ୍ଲେବେଳ ତାନ୍ତ୍ରିକାମି ଗାନାରା.  
ପ୍ରେସରୁଲ୍ଲେବେଳ ଉତ୍ସବ କି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା କାଳି ଗୁଲି, କି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା  
ପ୍ରେସରୁଲ୍ଲେବେଳ କି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା କି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା କି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା  
ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହିରୁବା, ମାନ୍ଦିରକି, ଏହିପ ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହିରୁବା,  
ଏହିରୁବା ଏହିରୁବା.

— ମେର୍ଯ୍ୟରତମାନି ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବ ପାଦମା ନାଥପ୍ରକାଶ!—  
ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ମାନ୍ଦିର ଏହିର ଉତ୍ସବ କିମାରି. —ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି କିମାରିବେ!

— ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା କିମାରିମା. —ଏହି ବିନାଲ୍ଲେ, ଏହି  
ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା!

— ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା!  
— ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା!

— ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା!—  
— ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା!—  
— ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା!

ଗାନାରା ମନ୍ଦିରମା କିମାରିମା. ନାଥପ୍ରକାଶ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.

ଏହି ବିନାଲ୍ଲେ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.

ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.  
ଏହାଫ୍ରେଣ ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି ଉତ୍ସବର୍ତ୍ତା ଏହି.

რომ ვეღარც კი მალავდა ამ გრძნობას, თავს ძალას ატანდა, მაგრამ ერთი ალერსიანი სიტყვაც ვეღარ ეთქვა ცოლისთვის. და რომ ცოლს უწინდელიდან დაჩინილი დიდი ძალა და გავლენა არ ჰქონდა შაზე, ის მას უსათუოთ მიატოვებდა.

მათი მუშები და მოსამსახურე გოგოებიც დიდი წინა-აღმდეგი იყვენ ქალის ამნაირი ქცევისა, აღარაფერს უჯერე-ბდენ და ყოველი პატივი აჰყარეს მას. მეზობლებიც ჩამოშორ-დენ, დაცინოდენ, ჰქიცხავდენ. ქალი კარგათ ხედავდა, რომ თუ ნაპოვარას ქომაგობას თავს არ დაანებებდა, ძალიან გაუ-კირდებოდა საქმე ქმართანაც, მოსამსახურეებთანაც და მე-ზობლებთანაც, მაგრამ მას ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ თუ ვინმე ყველას ძულდა, მთელი თავისი ძალ-ლონე უნდა ეხ-მარა, რომ ამნაირი უბედური დაეცვა და დაეფარა. და რაც უფრო იტანჯებოდა ნაპოვარას გამო, მით უფრო გაფაციცე-ბით ადევნებდა თვალ-ყურს, რომ ის არავის დაეჩაგრა.

(დასასრული შემდეგ)

ელ. დემოლონ-წერეთელი.



# სპარტაკი



VIII

ლადიატორთა ახალი გამარჯვების ამბავი ფიცხლავ მოედო დაბა-ქალაქებს. კაპუის სკოლაში ეხლა გლადიატორს ვეღარ ნახავდოთ. იხუვლეს და გამარჯვებულ წინამძღვარს გარს შემოერტყენ:

— გაგვიძეხ, გაგვიძეხ!.. რომაელებმა უნდა იზღონ რაც რომ დასთესეს... ეხლა დრო დადგა ჩვენი ბატონობისა...

მათ ნაკლებათ ესმოდათ წინამძღოლის კეთილშობილური განზრახვინი. შურის ძიებას მარტო განთავისუფლებაში არ ხედავდენ. მათ უნდოდათ, თვითვე ერთის წუთით მაინც ჰლირსებოდათ გაბატონება. ეს იქნებოდა ნამდვილი შურის ძიება, რასაც თხოულობდა მათი გაბოროტებული ველური აღმაფრენა.

მალე სპარტაკს ოთხ ათასზე მეტი მებრძოლი შეემატა. წინანდელებთან ერთად ეხლა მისი რაზმი ნამდვილ ათასეულ ჯარათ იქცა, რომელშიაც შვიდ ათასზე მეტ კაცს მოეყარათავი. სპარტაკმა ამათგან შეადგინა პირველი ლეგიონი. სპარტაკმა დიდი ზექობრივი სიმტკიცე გამოიჩინა გლადიატორთა ველურობის ალაგმდაში. როდესაც მშეობრათ გამოაწყო, იგი მკვირცხლათ გაეშურა ქალაქ წოლისაკენ, ალა შემორტყა და, ვიდრე გონს მოვიდოდენ, სწრაფათ აიღეს.

მამაცობამ და თავგანწირულებამ ვერ იხსნა ქალაქის მეცნიერებაშე ჯარის ამოწყვეტისაგან. გლადიატორებმა იმ ქალაქში ნახეს საკმაო ზარალი, მაგრამ ამ გარემოებამ უფრო გააბრაზა. ისინი მოედვენ ქალაქს, ქუჩებში დაიწყეს ცარცვა-გლეჯა, უანგარიშო სისხლის დვრა.

— კმარა, ხალხო! იკმარეთ, იკმარეთ! გაპკიოდა სპარტაკი. მოითმინეთ, ნუ არბევთ მშეობობიან მცხოვრებთ, თორემ თქვენზე აღვმართავ ჩემს მახვილს!

როდესაც გული იჯერეს, სპარტაკმა მოედანზე მოუყარა თავი და გულის წყრომა გამოუცხადა.

— განა ამისთვის ვიბრძოლეთ? განა ამიტომ შევითქვით? ჩვენი აჯანყება მიმართული იყო უსამართლობის მოსახლეობათ და რას ვხედავ? პირველი ჩვენ ვხდებით ავაზაკები, თავისუფლებისა და სამართლიანობის დამთურგვნელნი. მე არა მსურს ყაჩალთა და მცარცველთა წინამძღვანი მიწოდონ. ვისაც სურს, ხელი დაიბანოს პატიოსნებაზე, ვინც ბოროტ ზრახვათა მესვეურათ მიგულებს, — ჩამოგვეცალოს! აი, ჩემი გული! რომაელთა მახვილს შიშველს მიგუშვერ გასაგმირათ, ვიდრე მშვიდობიან მცხოვრებთა თავზე აემართო ჩემი ფარხმალი. აა იქნებოდა, რომ თქვენ ცოლ-შვილს ეხლა დაესხნენ აგაზაკნი და შეაგინონ, ამისათვის აღსდექით? მაშ აირჩიეთ ორში ერთი: ან ჩემთან, პატიოსნურ გზით, ან და სხვა და სხვა გზით შევხვდეთ სულ მეორე მხარეს და, დაე, იქ ერთმანერთზე გადაიმსხვრეს მტრის დასაძლევათ ამართული ჩვენი მახვილი!

დარცხვენილი გლადიატორები შემოეხვივნენ. საყვარელ წინამძღვალს, შესთხოვდენ პატიობას და იღუთქვამდენ: ყოველისფერში დაგემორჩილებით, შენს ბრძანებას არასოდეს არ დავარღვევთო. აი, აქ გამოჩნდა სპარტაკის უსაზღვრო ზედ გავლენა, რომელიც ჰქონდა ამ არაჩვეულებრივს ადამიანს არა თუ თანამემამულეთა შორის, არამედ სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხზე, რომელიც მონობის უღელ ქვეშ სულ ერთიანათ განადირებულიყვენ. ამიერიდან სპარტაკის ჯარში ისეთი წესიერება იქნა შემოღებული, რომ თვით რომაელებსაც კი ჰშურდათ.

— ის, რაც დავკარგეთ, ამათ შეიძინეს! შურით ამბოდენ რომაელები.

ორი თვის განმავლობაში სპარტაკმა დაპყო ნოლში მისი ჯარის რაოდენობა უკვე ათიათას კაცამდე ავიდა. აქედან ორი ლეგიონი შეადგინა და თვითეული მათგანი ჩააბარა გამოცდილ და პატივ დამსახურებულ გლადიატორებს. თვით სპარტაკი კი მთელი ჯარების წინამძღვალათ ისე იქმნა აღი-

არებული, რომ ერთი მოწინააღმდეგეც არ გამოჩენია.

— ღმერთები ჩვენს მხარეზეა! სოჭვა მან, როცა მწყობრათ გამოყვანილ ჯარს გადაავლო თვალი: აი, ეხლა შემიძლიან თვით რომის კარიც შევამსხვრიო. ასეთს ლაშქარს რაღა გადაელობდა წინ! წესიერება, წესიერება და წესიერება, აი რითი უნდა გავიმარჯვოთ! ეხლა რომშისენატორნი ჩვენს შესახებ ბჭობენ. მათ ძილი გაუფრთხათ. შიშმა მოიცვა უძლეველი რომი... ეს უკვე შირის ძიგის ერთი უკეთესთაგანი საბუთია, სხვა რაღა გინდათ! მაშ მწყობრათ, ერთსულოვანათ და წესიერათ!

მის სიტყვებს საომრათ განწყობილმა ლეგიონმა ფარშუბის ელარუნით შესძახეს: — მზათა ვართ, მზათ... ოლონდ გაგვიძეხ, წინამძღვარო...

## IX

რომის მმართველთ თავზარი დასცა სპარტაკის ახალმა გამარჯვებამ. დაუყოვნებლივ ახალი ჯარი გამოიყვანეს, მთელი ლეგიონი, რვა ათასი გაწვრთნილი, საუკეთესო მეომრით, პრეტორ პუბლიუს ვარენის ხელმძღვანელობით. ამის გარდა მას ახლდა სამასი ცხენოსანიც, ეს ისეთი სიგრძნობელი ძალა იყო, რომ სენატი წინასწარვე ჰუკიტრობდა აჯანყებულთა სასტიკ დამარცხებაზე და იმ-სასჯელზე, რასაც მიაყენებდენ ცოცხლათ დარჩენილ ხელ-ახლათ უღელ შედგმულებს... პუბლიუს ვარენმა გამოლაშქრების წინ საკმაო ცნობები მოჰკრიბა ჯაშუ-შთა და მზევრავ რაზების შემწეობით, თუ სად იმყოფებოდა სპარტაკი თავისი მთავარი ძალებით. როდესაც საკმაო ცნობები მიიღო, რომის სარდალმა თვისი ჯარი ორად გაჰყო და სპარტაკის ბანაკზე რჩის მხრით მოინდომა შემოვლა. პუბლიუს ვარენი /იმაში შესცდა, რომ მოწინააღმდეგ აბუჩად აიგდო, სპარტაკს უბრალო საზიზლარ მონათ სთვლილა, რომელსაც სარდლობის ნიჭი ვითომც ოდნავათ არა ჰქონდა. სამაგიეროთ სპარტაკმა კარგათ იცოდა მოწინააღმდეგის ძალა და მიტომაც მეტათ ფრთხილათ მოიქცა. თავის მხრით, როდესაც ჯაშუშებმა მოუჭანეს ამბავი რომაელ ჯართა ორად გაყოფის შესახებ, სწორად გმართა თათბირი ამ-ხანაგებთან. საგულისხმიერო ის იყო, რომ, როგორც ყოველ-



თვის, ეხლაც სწრაფათ და მახვილათ ჰზომავდა გარემოებას და იმ საშუალებით, რითაც უნდა მოეგო ბრძოლა. სპარტაკს არ დაუწყვია ლოდინი. პირდაპირ თვითონ გასწია მტერზე. დაუყოვნებლივ შუაში შეიჭრა რომაელთა ჯარებში და სათითაოდ დაამარცხა კავდინიუსის ხეობაში. რომაელთა ზარალი მეტათ საგრძნობელი იყო, მაშინ, როდესაც გლადიატორებმა საიმისო მაინც და მაინც არა დაჰკარგეს რა.

ორი უკანასკნელი გამარჯვების შემდეგ, რომელიც სპარტაკმა სამი დღის ბრძოლით მოიხვეჭა, შორს გაითქვა მისი სახელი. ეხლა რომაელთა ქალაქებში მის მეტს არას ლაპარაკობდენ. რამდენათაც იზრდებოდა მისი სახელი, იმდენათ უფრო ემატებოდენ მეგობრები, დასტა-დასტაზე გამორბოდენ გლადიატორები და, არა თუ ავსებდენ ღდნავ შეთხელებულს მის ჯარს, არამედ გაასამკეცეს კიდეც. ისე მოსჩანდა, თითქოს ეხლა იწყობოდა ნამდვილი ომი, ომი ღირსეულისა ღირსეულთან, რასაც უნდა გადაეწყვიტა ბედი თუ უბედობა; მაგრამ სპარტაკი ჯერ არ განწირულიყო. მისი მახვილი ჯერ ძლევა მოსილ ბედის ხელთ იყო, რომელიც მას არ ჰდალა-ტობდა და თანდათანობით აქეზებდა უფრო თამამად, უფრო გაბედულათ ემოქმედნა მხაგვრელთა წინააღმდეგ. შეშფოთებულმა რომმა კი ახალი ლეგიონები გამოგზავნა ოცი ათას კაცამდე, კვლავ სირცხვილ ჭმეულ პრეტორ პუბლიუს ვარენის ხელმძღვანელობით. ქალაქ აგვინის მახლობლათ გაშლილ ველზე იშიშვლეს მახვილი ორთავ მხარემ. გათამამებული სპარტაკი თავის ჯარს თილისმისებურათ აფრთოვანებდა.

— ეხლა ჩეენი სახელი ათასი! როგორ შეუძლიან განებივრებულთ წარბი შეუხარინ გამარჯვებულთ? ბედმა სირცხვილი დაწერა მაგათ შუბლზედა.

აღფრთოვანებული გლადიატორები ისე მიესივნენ პუბლიუს ვარენის ჯარს, თითქოს მთიდან გადმოხეთქილი ნიაღვარი ყოფილიყოს. კიდევ გამარჯვება. კვლავ დროშები. აუარებელი სურსათი, აუარებელი სამხედრო იარაღი დარჩათ. ტყვებს აჰყარეს მუზარადი და შერცხვენილ — თავლაფ დასხმულნი ისე გაისტუმრეს თავიანთ მბრძანებლებისაკენ.

ეს ისეთი გამარჯვება იყო გლოდიატორებისათვის, რომ-  
ლის მზგაցსი ჯერ არ ენახათ. ამიტომაც რამდენიმე დღე გა-  
გრძელდა დღესასწაული. ამ დროს მათი ლაშქარი სამოცათას  
კაცამდე ავიდა. სულ ათ ლეგიონათ გაჰყო იგი სპარტაკმა.  
მაგრამ რამდენათაც გაიზარდა ეს ლაშქარი, იმდენათ საძ-  
ნელო გახდა მათი საყოველთაო და სასწრაფო გაწვრთნა.  
გაუწვრთნელათ გამოსვლა კი სპარტაკს საზიანოთ მია-  
ჩნდა. ამიტომ იყო, რომ სამხედრო მოქმედების ფართოდ გა-  
შლი შემდეგისათვის გადასდო. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვე-  
ტილი არას გზით არ დაეწყო მოქმედება, ვიდრე ათი ლეგი-  
ონი საქმით მომზადებული არ ეყოლებოდა. ამის გარდა ავ-  
დრიანი დღეები იყო, რაიც მეტად აფერხებს სამხედრო მო-  
ქმედებას, განსაკუთრებით, როცა ქვეითი ჯარს უხდება ხელ-  
ჩართული ბრძოლა.

უნდა ითქვას, რომ გლოდიატორები თვითვე გულით  
ეკიდებოდენ სწავლის. სწავლობდენ ფარიკობას და რომაელ  
ყოველ გვარ სამხედრო ცოდნას, იმ შეგნებით, რომ ისინი  
უკვე თავისუფალი მებრძოლნი იყვენ, რომელთაც ვალად  
ჰქონდათ უწმიდესი საქმის ჭდაგვირგვინება. საკვირველი კი-  
დევ ის იყო, რომ სპარტაკი ვერაფერმა ვერ შეაცლინა: დიდ  
— დიდმა გამარჯვებამ არ გაჰხდა იგი პატივმოყვარე. არაერ-  
თარმა ოქრომ, არავითარმა მოსყიდვის თილისმამ ვერ გასჭ-  
რა. იგი ისევე უბრალოთ იქცეოდა, როგორც პირველ ხანე-  
ბში, როდესაც მახვილი ამართა რომაელთა წინააღმდეგ. დიდ  
სულოვანი, ამპარტავნების მსხვერპლი არასოდეს არ ყოფილა.  
მხოლოთ ჯარების თხოვნით დასთანხმდა სამხედრო სალაში  
და პატივი მიეღო აღლუმების დროს, როცა მათ წინ ისე  
გაივლიდა, როგორც სახელოვანი მათი მთავარ სარდალი.

რომის მართველობა ბოლოს, მართლაც, ძრიელ შეშ-  
ფოთდა: სარდალი სარდალზე გამოცვალეს. ყველა დარწმუნ-  
და, რომ აჯანყებულთა მეთაური გენიოსი სარდალია და  
მასთან ხუმრობა არ შეიძლებოდა. საცდელათ მრავალ მებ-  
გადახდილი და საქმიად სახელ მოხვეჭილი სარდალი დანიშ-


నేసా: అంతిల్లింగస నీర్చేస్తొ, రంఘేల్సాపు ఒప్పడాటశ్చమేళీ అతాసి  
కృపి కూబార్గేస. మాగ్రామ అమ సారదాల్సాపు ఇగ్రివై భేది గెళ్లించా, రంప  
ష్టుబ్లింగస వార్గేసి: మిసి జార్కిల్డాన శ్విల్డింతాసామిల్య డాయిల్సుపా  
ధర్మాల్సిస వెల్చీ, అమ్లేన్సివై డాక్టరీల్సి డా ట్ర్యూవై డాక్టర్ కార్గేస.  
గానా గాసాక్విర్వెల్లి ఐస్ట్రేబోల్డా అమిస శ్వేమల్చేగ మింట్లికి రంఘేల్సి  
గామేజ్యేబ్యుల్లి ఊరొ? లా అి, రంధ్రేల్సాపు అమ సాశిన్ జ్ఞమార్క్సిస మి-  
సాస్క్షేమ్బ్లాట స్టేన్సాట్మి ఊర్సల్ఫో గానాంగ్యుర్ఖ్యుల్లి జార్కిల్సి సారదాల్సి  
మింగ్ గామ్హ్యుగ్యుర్క్షిల్లి శిక్కుర్కాపి, శ్వేమ్ఫోట్యుల్లి తమా కూలారొ  
స్టేన్సాట్మార్జ్యోబి గ్యుటోబోల్డెన్ గ్రాటమాన్ జ్యోసి:

— బ్యు తిఱ్ ల్రో అి అమిస, సాక్షాత్కొం ఊవొం శ్వేమ్యుక్రాత?

గ్యెల్లా „మింకాస“ లిస్టెతి ఊక్లింత వ్యేలార్ అమ్బోబ్లెన్. క్యార్గుట  
శ్యుర్డెన్ నొబ్బెన్, రంప ల్షింకొ ల్షింకొఅ గ్యుర్డెన్లా రంఘేస.

(డాసాసర్కుల్లి శ్వేమల్చేగ)

డ. కాస్ట్రాస్జ.



# ქართული კომიტეტი.

(ლასასრული)



მერთო! ბუტბუტებდა თავისთვის, ფრედი. რად  
ხავილინე ესა? იქ რად დაუკარი? ეხლა ქალ-  
\*პატონი პლონა შეიტყობს და გამიჯავრდება!

ამ დროს გრაფი ალზინოვსკი და თავადი რადზივილი  
იდგნენ და ერთმანეროვნენ შესკეროლნენ.

— დიდი ნიჭიერი ბავშია,— სთქვა როგორც იყო გრაფ-  
მა... თავის შეთხულს ისე უკრავს, როგორც დიდი ადამიანი.

— არა, უბასუბა თავადმა, ნიჭიერი კი არა—უფრო მე-  
ტია. იგი მომავალი გენიოსია! ეხლა მაგან უნდა ისწავლოს,  
რომ თავისი ნიჭი გაავითაროს. მაგას ეხლა გულ-უხვი აღა-  
მიანი წავლა-განათლებას მიაღებინებდა, შემდეგში ბავში  
განთქმული მუსიკოსი შეიქნებოდა.

— მე ვკისრულობ მაგის აღზრდას.

ასე ამბობდა კეთილშობილი თავადი. ამხანაგმა თანა-  
გრძნობით დაუქნია თავი. ამის შემდეგ ორივენი წავიდნენ  
ქ. პლონას ბინისაკენ, საიდანაც ჯერ კიდევ სინათლე მოს-  
ჩანდა.

— ქალბ. პლონა, ჯერ არ გძინავთ? — დაუძახა გრაფმა.

— არა, არა, წარჩინებულო გრაფო, — მიუგო პლონამ.  
ჯერ არა მძინავს. რა ნებავს თქვენ ბრწყინვალებას, მიბრ-  
ძანოს.“

გრაფი და თავადი ფანჯარასთან მივიღნენ და რაღაზე-  
დაც დიდხანს ილაპარაკეს. პლონა ოხრავდა და გაკვირვებით  
წამ და უწუმ იმეორებდა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ოჰ; ღვთის მშობელო დედაო!  
მაშ; ნუ თუ თქვენ კისრულობთ ამ პატარა ობოლის აღზრ-  
დას? ეგ ხომ მხოლოდ პატარა ფრედია და სხვა არაფერი!

მეორე დილას გრაფი და თავადი დიდ სახლის ერდოზე  
იდგნენ და ქ. პლონას შვილი-შვილებისა და პატარა ფრე-  
დის თვალ ხუჭუნას თამაშს უყურებდნენ. პატარა ბიჭი ისე  
ხითხითებდა, თითქოს გუშინ არა მომხდარიყოს რა. თავად

հաջողութեաց զայրոն օմու Ըստաեցածք. Թուեմո ծավան և կապ-  
հաց օմ ըրուս, հոգեսաց ամեանացեծ տշալցեծու օեցցան պա-  
հածունեն թաս.

— მოლი აქა, პატარა ფრედი! დაუძახა თავადმა.

როდესაც ფრედი მიუახლოვდა, თავადმა მაგრად მოხვია  
ხელები, მიიხურა და სთქვა:

— გუშინ შენი მუსიკა მოგისმინე. შენის დაკვრით მო-  
მხიბლე და დამიმონავე. ეხლა მე შენ უნდა დაგიმონავო და  
არ დაგიბრუნებ თავისუფლებას იქამდის, მანამ შენ, პატარა  
ფრედი, დიდებულ გამოჩენილ მუსიკოსად და განთქმულ ფრე-  
დერიკ შოპენათ არ გადიქცევი.

ბავშვს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— მერე მე საკუთარი ფორტოპიანო მექნება? — ჰეითხა  
ფრედიმ.

— იმაზე დაკვრის ნება მექნება?

— არამც თუ ფორტოპიანო, რაც კი რამ დასაკრიფიც  
ქვეყანაზე, გექნება!

— ასე, ჩემო კოშიავ, პატარა ფრედი გადიქცა დიდებულ  
მუსიკოსად — ფრედერიკ შოპენად. მთელ ქვეყანაზე გაითქვა  
სახელი. მისი მუსიკით სტატებოლნენ ხელმწიფები; ებლაც  
ერთი ოჯახი არ არის, სადაც კი მუსიკა უყვართ, რომ შოპენს  
არ იცნობდნენ. ის ებლა ხომ გესმის რასაც ვუკრავდი, — შენ  
თვითონ მკითხე — გისია ეს მუსიკა, მაშასადამე შენზედაც  
შთაბეჭდილება მოახდინა.

დედამ ბაგში ჩამოსვა კალთიდან და ისევ განაგრძო და-  
კვრა. კოწია კიდევ დიდხანს ფრქრობდა ფრედიზე და მის  
მუსიკაზე. გაჩერებულიყო პიანინოსთან და უყურებდა რანა-  
ირის სისწრაფით დარბოდნენ დედის თითები ფორტკიანოს  
კლავიშებზე; უსმენდა იმ ხმას, რომელიც ოდესლაც შეითხა  
პარარა, გამხდარმა, ფერმურთალმა ფრედიმ.

(ତାରିଖ ମାର୍ଚ୍ଚି ୨୦୧୦)

### **8. നാമ്പരികളിൽ**

ନିଜର ମହାନୀ ଚିତ୍ରନାଟ୍ୟ.

20/  
2

36

421/  
27

1919 წ.

საქართველო ნაციონალი ჟურნალი.  
 წელი 30 | პეპილი | წელი 50

ჯეჯილი დარსებულის 1890 წ.

1919 წელსაც გამოგა არა ნაკლებ ექვსი წიგნისა. ქურნალში ორი განუოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და ოვით „ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5.

ჟურნალი წლიურათ დირს 20 პ. ცხლეჭვ ასა-  
ლი ნომერი 5 პ. ძეგლი წლების ქურნალი თითო  
წლისა ელიონება 14 პ. განახლებულ ჟურნალი  
მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

ხელმძღვანელთა ახლათ შემდგარი კომისია (ქ. შარაშიძე,  
ალ. ფალავა, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა—  
გელაშვილი), შეეცდება უურნალის ნორჩ მკითხველებს მია-  
წოდოს საღი გონებრივი საზრდო.

ფოსტის ადრესი: თბილისი, საყმაწვილო უურნალი „ჯეჯი-  
ლის“ რედაქცია.

რედაქტორ—გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.